# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№ 22-23 (9854) 2025 წლის 17 თებერვალი, ორშაბათი

ფასი 1,5 ლარი


## სალომე დღეს საქართველოს დიდი უბედურებაა

სანამ ყოფილ პრეზიდენტს ტყვიაგაუმტარი ჟილეტი აცვია...

3

## მიუნხენის კონფერენცია და ვაშინგტონის ახალი შერიფი

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ჯეი დი ვენსი

6

ჩვენი ოდაბადე

ვაჟა ბერიძე

## წვართა სულისა!..

საქართველოს გაბრწყინება იწყება!

4-5

ნინო ახობაძე:

## დაამხოზ ამათ და მოვლენ: მიშა, ვანო, უგულავა, ბოკუჩავა, ქიაბერაშვილი, დოლიძე, ადეიშვილი, ახალაია, ბარამიძე...

3

## სულხან მოლაშვილის მამის სკანდალური ინტერვიუ!

8

## ბორჯღალოსანთა მე-17 გაელვება



როცა მეტოქეს სტუმრად 10 ლელოს დაუდებ, თანაც დედაქალაქში, ამ შემთხვევაში – მადრიდში, და ტურნირის გამარჯვებული მე-17 გახდები, წესითა და რიგით, საერთაშორისო ორგანიზაციის მამებმა მოწყალება უნდა გაიღონ, ელიტაში თამაშის შანსი მოგვცენ და ჯიუტ ფაქტს თვალი გაუსწორონ – რაგბი ევროპა ჩვენთვის უკვე „ჭე კლასია“!

ესპანეთი – საქართველო 32:62

პირველი ტაიმი 13:34

**ლელო:** სპანდერაშვილი, ლობჟანიძე, ტაბუცაძე (2), კარკაძე, ჯაფარიძე, ნინიაშვილი (3), ქვათაძე.

**გარდასახვა:** ნინიაშვილი (2), პაპიძე (3), პაპუნაშვილი.

# ევროპა ტრამპის და პუტინის „თავხედობით“ შეშფოთებულია

**ევროპელი ლიდერები მომავალ კვირას უკრაინის შესახებ საგანგებო სამიტზე შეიკრიბებიან იმ შეშფოთების ფონზე, რომ აშშ რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს ევროპის მონაწილეობის გარეშე აბრძელებს, — იუწყება BBC.**

როგორც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ განაცხადა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ევროპელი ლიდერები უკრაინის საკითხის განსახილველად პარიზში სამიტზე მიიწვია.

BBC-ს ცნობით, პარიზში დაგეგმილ შეხვედრას, სავარაუდოდ, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი კირ სტარმერიც დაესწრება.

# ლევან მაჭავარიანი: „დიფ სთეითთან“ ბრძოლა „ქართული ოცნების“ დაწყებულია!

**„2025 წელს მსოფლიო დღის წესრიგის ჩამოყალიბება ხდება, ამიტომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ფრთხილი, პრაგმატული პოლიტიკა,“ – ამის შესახებ „დღის ქრონიკაში“ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილემ ლევან მაჭავარიანმა საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობებზე საუბრისას განაცხადა.**

როგორც ლევან მაჭავარიანმა აღნიშნა, ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ კარგად იცის, რა ნაბიჯებს დგამს საქართველოს ხელისუფლება.

„შევახსენებ ჩვენს მოქალაქეებს, რომ ოპოზიციაში, ფაქტობრივად ლიდერი არ არის დარჩენილი, რომელსაც უშვერი სიტყვებით არ ჰყავს ბატონი ტრამპი ნალანძღი და რუსეთის აგენტი არ აქვს მისთვის დაძახებული. ამერიკის ადმინისტრაციამ ყველაფერი კარგად იცის და ის გატარებული პოლიტიკაც კარგად იცის, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გაატანა.

როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, „დიფ სთეითთან“ ბრძოლა (რომელსაც ახლა ებრძვის ტრამპი) „ქართული ოცნების“ დაწყებულია და ჩვენი საზოგადოება უკვე კარგად ხვდება, თუ რა გაიარა „ქართულმა ოცნებამ“ იმისთვის, რომ ქვეყანაში მშვიდობა შეგვენარჩუნებინა.

ახლა ტრამპისთვის ძირითადი დასაყრდენი არის უნგრეთი, ბატონი ორბანი ჩვენი როგორი მეგობარია კარგად მოგეხსენებათ და შესაბამისად, ის რაც უნდა იცოდეს ამერიკის მოქმედმა ადმინისტრაციამ საქართველოში ხელისუფლებასა და ოპოზიციასთან დაკავშირებით, მერწმუნეთ, რომ აბსოლუტურად ყველაფერი იციან“...

# საქმეში გამორჩეულნი

**„საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალურ შტაბში საუკეთესო სამხედრო მოსამსახურეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა“,- ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.**

უწყების ცნობით, სამხედრო მოსამსახურეებს სერტიფიკატები და სამკერდე ნიშნები საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა გადასცა. მან კაპიტან გოჩა ფსუტურს, ლეიტენანტ მიხეილ კანდელაკს, უფროს სერჟანტ სილოვან წკრიალაშვილს, უმცროს სერჟანტ გიორგი ავანაშვილსა და კაპრალ რატი გავარდაშვილს დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა და სამშობლოს სამსახურში წარმატებები უსურვა.

„საუკეთესო სამხედროების შერჩევა კვარტალში ერთხელ, სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის, დისციპლინის, ფიზიკური და საბრძოლო მომზადების დონით, დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხით, გადაწყვეტილების მიღებისა და გუნდში მუშაობის უნარის მიხედვით ხორციელდება.

პროექტის მიზანი სამხედრო მოსამსახურეების მოტივაციისა და საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებაა” – ნათქვამია ინფორმაციაში.

# საქართველო შეიძლება გაცვლითი „მონეტა“ გახდეს?!

## ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და ახალი პოლიტიკური თამაშის წესები

**ამერიკის შეერთებული შტატები, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, ევროპასთან ურთიერთობებს რადიკალურად ცვლის, რამაც მათ შორის გარკვეული უთანხმობა წარმოშვა. კონკრეტულად, ერთ-ერთი საკითხი ეხება უკრაინა-რუსეთის ომს, სადაც ევროპისა და ამერიკის პოზიციები განსხვავებულია – მაშინ, როდესაც ტრამპი პუტინთან დიალოგს განიხილავს და ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტს მშვიდობა სურს, ევროპა ამას შეუძლებელს უწოდებს. ამასთან ერთად, ტრამპის მიერ გატარებული რეფორმები ეხება სავაჭრო პოლიტიკასაც. ამ ყველაფერის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ ადგილი აქვს გეოპოლიტიკურ გადაადგილებებს, ახალი გეოპოლიტიკური სტრუქტურის შექმნასა და ახალი პოლიტიკური თამაშის წესების შემოღებას.**

**ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე For.ge-**სთან ინტერვიუში ამბობს, რომ სწორედ დღეს ყალიბდება მსოფლიო უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა, სადაც საკმაოდ რთული იქნება პოზიციების შეჯერება და შეთანხმების მიღწევა.

„ტრამპის ადმინისტრაციამ გადაიაზრა იმ საკითხების მთელი წყება, რაც აქამდე აკავშირებდა ევროპას და აშშ-ს, განსაკუთრებით უკრაინის ომთან დაკავშირებით არსებული ვითარება, რადგან სწორედ დღეს უკრაინის ომია ცენტრალური საკითხი, რაც ევროპასა და აშშ-ს შორის არის ერთგვარი განხეთქილების ვაშლი. ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს, რომ ეს ომი დაასრულოს, თან ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ და მისაღებად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

ამავე დროს, ევროპის განსხვავებულ პოზიციას ვხედავთ, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ომის გაგრძელების სურვილი. თუ ომი ისე დასრულდა, როგორც მონახაზია გაკეთებული, შეიძლება მთავარი მიზანი, რაც ამ ომში ევროპამ გამოაცხადა, რუსეთის სტრატეგიული დამარცხება, მიუღწეველი დარჩეს. ევროპა შესაძლოა ამ ომიდან გამოვიდეს სახედაკარგული. მეორე საკითხია ურთიერთობების ეკონომიკური პაკეტი და ასევე, სატარიფო ომი, რომელიც მან ევროპასთან წამოიწყო, რაც უკავშირდება აშშ-ს ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

სწორედ ახლა ყალიბდება უსაფრთხოების ის არქიტექტურა არა მარტო ევროპაში, არამედ მთლიანად მსოფლიოში, სადაც ყველას უნდა ჰქონდეს მყარი და წამყვანი პოზიცია და ამ პოზიციების შეჯერება ასეთი მარტივი არ არის. არავის ეგონოს, რომ ტრამპის და პუტინის ერთი სატელეფონო ზარით გადაწყდება ეს საკითხი. საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი არის და ამას დასჭრიდეგა რამდენიმეთვიანი ძალისხმევა, ვიდრე ყველა დაინტერესებული მხარე, მეტ-ნაკლებად ერთმანეთისთის მისაღებ კონსენსუსამდე მივა“, – განაცხადა ანჯაფარიძემ.

კითხვაზე – ახალი გეოპოლიტიკური გადაადგილების შედეგად, სად არის საქართველოს ადგილი?! ზაალ ანჯაფარიძე თვლის, რომ დღეს ამის განსაზღვრა რთულია, თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლება აქტიურიად მუშაობდეს აშშ-ს ახალ ადმინისტრაციასთან და მეტი სიცხადე შეიტანოს საგარეო პოლიტიკაში.

„ეს რთული განსასაზღვრია, რადგან საქართველო, ერთი მხრივ, შეიძლება გახდეს გაცვლითი მონეტა, მაგრამ მეორე მხრივ, შესაძლოა, პირიქით მოხდეს, რომ აშშ-მა არ დათმოს ეს რეგიონი, მათ შორის საქართველო, იქიდან გამომდინარე, რომ მას შავი ზღვის აუზში აქვს საკუთარი სტრატეგიული ინტერესები. საქართველოს საკითხი არის ჰაერში გამოკიდებული და ამიტომაც აირჩია საქართველოს ხელისუფლებამ მრავალვექტორული პოლიტიკა – ეს მას აძლევს ლავირების საშუალებას იმ შემთხვევაში, თუ საქართველო დათმობილ იქნა დასავლეთის მიერ – ამის ალბათობა მცირეა, მაგრამ ის არსებობს.

ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებამ მეტი სიცხადე უნდა შეიტანოს თავის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებში. ვერ ვხედავ, რომ აქტიური მუშაობა მიდიოდეს აშშ-ს ახალ ადმინისტრაციასთან, ელჩიც კი არ გვყავს ჯერ დანიშნული ამერიკაში. ასე რომ, ამ პერიოდში ძალიან დიდი სიფრთხილე მართებს საქართველოს, როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას, რომ აქ ისე არ აურიოს სიტუაცია, რუსეთს მისცენ საბაბი, აქ განახორციელოს დესტრუქციული ქმედებები, სამხედრო ძალის გამოყენების ჩათვლით, რაც არ არის გამორიცხული, თუ მოხდა ისე, რომ ხელისუფლება შეიცვალა ანტიკონსტიტუციური გზით და ხელისუფლებაში მოვიდნენ, მკვეთრად ანტირუსულად განწყობილი ძალები“, – დასძინა ზაალ ანჯაფარიძემ.

**ნიკო ჩოხელი**

# ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე უკვე განკურნებულ ბავშვებს მინისტრი შეხვდა

**„15 თებერვალს გავშვთა კიბოს საერთაშორისო დღე აღინიშნა. ჯანდაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე იმ ბავშვებს შეხვდა, ვინც ონკოლოგიური დაავადებები დაამარცხა, გამოჯანმრთელდა და უკვე სამშობლოში დაბრუნდა“ – ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.**



უწყების ცნობით, თუ რა გზა გაიარეს და როგორ დაასრულეს მკურნალობა – ამბები პაციენტებზე, მიხეილ სარჯველაძემ, მათი მშობლებისაგან მოისმინა. შეხვედრაზე, ისაუბრეს სამედიცინო შემოწმებებსა და კონტროლზეც, რომლებსაც ბავშვები ისევ საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამით გაივლიან.

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, თითოეული ბავშვის გამოჯანმრთელება ყველასთვის დიდი გამარჯვებაა და სახელმწიფო ამისთვის მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს.

„ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა 2023 წლის აგვისტოდან ამოქმედდა. სამკურნალო პაკეტი მოიცავს დიაგნოსტიკასა და სტანდარტული მკურნალობის კურსს: ქიმიოთერაპიას, სხივურ თერაპიას, ოპერაციულ ჩარევასა და პროტონოთერაპიას.

პროგრამის ფარგლებში, პაციენტები, მომსახურებას 8 კლინიკაში – „ქირონ სალუდის პროტონოთერაპიის ცენტრში“, ისრაელის „თელ-ავივ სოურასკის (იხილოვის) სამედიცინო ცენტრში“, თურქეთის „ანადოლუს სამედიცინო ცენტრში“, „აჯიბადემის ჰოსპიტალში“, „მემორიალი ჰოსპიტალში“, „მედიკანას საერთაშორისო კლინიკაში“, „ემსი ჰოსპიტალსა“ და „მედიპოლ მეგა საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში“ იღებენ. საქართველოსთან ერთად, სახელმწიფო, თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის პარტნიორ კლინიკებში, ყველა ბენეფიციარის მკურნალობას სრულად აფინანსებს. ამოქმედებიდან დღემდე, პროგრამაში 160 ბენეფიციარი ჩაერთო. მკურნალობა უკვე დაასრულა 101-მა პაციენტმა.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ: „საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ ხელმძღვანელი ხათუნა ჩაჩავა და ფონდის წარმომადგენელი ქეთევან კარტოზია“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# სანამ ყოფილ პრეზიდენტს ფუვიაგაუმტარი ჟილეტი აცვია...

**საქართველოზე ახალი თავდასხმა მოხდა – უსინდისოდ მკაცრი, ბოროტი და უსამართლო. ევროპარლამენტმა 13 თებერვალს კენჭი უყარა ქართველ რადიკალ-ოპოზიციონერთა და მოღალატეთა მხარდამხარ შექმნილ რეზოლუციას, რომელიც კვლავაც იმეორებს ძველ „ბრალდებებს“: არჩევნების გაყალბებას, საპროტესტო აქციების რბევას, უსაბუთო დაპატიმრებებს, დაპატიმრებულთა უსასტიკეს წამებას, ევროპისკენ მიმავალი გზიდან რუსეთის, კრემლის გზაზე გადახვევას... რეზოლუცია ითვალიწინებს პარტია „ქართული ოცნების“ საქმიანობის დაგმობას, მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას და სანქციებს, სანქციებს... იქვე – ძველებური შადიანი: გაათავისუფლეთ მიხეილ სააკაშვილი!**

*რეზოლუციაში „საქართველოში პოლიტიკური ვითარების კიდევ უფრო გაუარესების შესახებ“ ევროპარლამენტი გმობს „ქართული ოცნების“ ოფიციალურ პირებს და მოუწოდებს მათ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მშვიდობიანი დემონსტრანტების, პოლიტიკური ოპონენტების და მედიის წარმომადგენლების ძალადობრივი რეპრესიები. საქართველო მასში „ქართული ოცნების“ არალეგიტიმური რეჟიმის მიერ დავყროგილ სახელმწიფოდაა მიჩნეული.*

აღნიშნული რეზოლუცია არალეგიტიმურად აცხადებს საქართველოს ხელისუფლებას და პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილს და მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, შეუერთდეს „ქართული ოცნების“ თვითგამოცხადებული ხელისუფლების ბოიკოტს. ასევე მიზნობრივი სანქციები დაუწესონ ბიძინა ივანიშვილს, მის ოჯახსა და კომპანიებს; გაყინონ ევროკავშირში არსებული ყველა მისი აქტივი; საფრანგეთის მთავრობამ ჩამოართვას ბიძინა ივანიშვილს საპატიო ლეგიონის ორდენი და დაუწესოს პირადი სანქციები. ასევე, პერსონალური სანქციები დაუწესონ ირაკლი კობახიძეს, შალვა პაპუაშვილს, ვახტანგ გომელაურს, კახა კალაძეს და ირაკლი ღარიბაშვილს. მოითხოვენ ეს სანქციები გაავრცელონ მოსამართლეებზე, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებზე, ფინანსურ ხელშემწყობებზე და რეჟიმთან დაკავშირებული მედიასაშუალებების („იმედი“, „პოს ტვ“, „რუსთავი 2“) მფლობელებზე; მოუწოდებენ, სანქციები დაუწესონ ბიძინა ივანიშვილის ხელშემწყობთა მთელ ქსელს, ელიტის გარემოცვას, პროპაგანდისტებს და მათ, ვინც ხელს უწყობს რეპრესიულ აპარატს. ბოლო სანქციას კონკრეტული გვარების ვრცელი სია ახლავს. თუ ამ „ქსელს“, „მხარდამჭერებს“ კონკრეტულ ადამიანებად დავშლით, გამოდის, რომ ნახევარი საქართველო, ყოველ შემთხვევაში, არჩევნებში „ქართული ოცნების“ მხრდამჭერი 1 მილიონ 200 ათასი კაცი ერთიანად ტყავგასაძრობია.

**ერთი კია, ევროპარლამენტის რეზოლუციამ თავისი უსუსურობით, მტვრიანი სიძველითა და გონებაბრჯგუოგით გევრი ადამიანი აღაშფოთა, მათ შორის ისეთი მოწამლული, დაჯერებული პროტესტანტი, როგორიც დავით ზურაბიშვილია. აქუს „პავპასიაზე“ გამოსვლისას მან დედის გინება არა, მაგრამ არც გევრი დააკლო ამ რეზოლუციის შემქმნელ ქართველ „რევოლუციონერებს“.**

საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად და ქართველი ხალხის სახედ აღიარებენ...სალომე ზურაბიშვილს და ევროკავშირის საბჭოს მოუწოდებენ საქართველოს წარმომადგენლად სწორედ ის მოიწვიონ ევროპის პოლიტიკური საზოგადოების მომავალ სამიტზე.

ასე და ამრიგად, ვაშაა, ბოლოს და ბოლოს გვყავს სამიდღემჩიო მონარქ-პრეზიდენტი!

რატომაც არა! თავის დროზე ორი ქალი მეფე გვყავდა: თამარი და რუსუდანი. გვყავდნენ დიპლომატი ქალბატონები: ხვაშაგ ცოქალი და კრავაი ჯაყელი.

უკუღმართი ქალებიც არ გვაკლდნენ. როცა დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფე გიორგი I (861-868) მოკვდა, ანდერძის თანახმად „აფხაზეთის“ ტახტი უნდა დაეჭირა მის ძმისწულს ბაგრატს, მაგრამ ქვრივი დედოფალი და მეფის კარზე დაწინაურებული იოანე შავლიანი (წარმოშობით სვანი) შეითქვნენ და ბაგრატი „შთააგდეს ზღვასა“ (თუმცა, გადარჩა), ტახტზე კი შეთქმული ფეოდალი და დედოფლის საყვარელი იოანე შავლიანი ავიდა.

უფრო შავბნელი კვალი დატოვა დედოფალმა დარეჯანმა – თეიმურაზ I-ის ასულმა და ზურაბ ერისთავის ნაცოლარმა, იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის თანამეცხედრემ, მტკიცე და მბრძანებლური ბუნების ქალმა. მან ტახტიდან ჩამოაგდო და თვალები დასთხარა გერს ბაგრატ IV-ეს. იმავდროულად ქმარიც „იშოვა“ – ცოლად გაჰყვა სისხლით ბაგრატიონთა ნათესავს, ვინმე ვახტანგ ჯუჯუნაშვილს. დასავლეთ საქართველოს ფეოდალებმა ეს იუკადრისეს, ჯუჯუნაშვილი არ იმეფეს, ჩამოაგდეს და თვალები დასთხარეს. დარეჯანი და თვლებდათხრილი ჯუჯუნაშვილი სამცხეში გადაიხვეწნენ. ამასობაში ბაგრატ IV-ემ იმერეთის ტახტი დაიბრუნა, მაგრამ ორიოდ წლის შემდეგ დარეჯანმა და მისმა ბრმა ქმარმა ახალციხიდან ოსმალთა ჯარი გადმოიყვანეს, ბაგრატი ქართლში გააქციეს და იმერეთის ტახტი თვითონ დაიჭირეს, თუმცა, მომდევნო 1666 წელს შეთქმულებმა ისინი ამოხოცეს.

**დიახ, თამარ შვიდმნათობიერის გვერდით ასეთი ქალებიც გვყავდნენ, ამიტომ ძალიან ნუ გაიკვირვებთ სალომე ზურაბიშვილის ფხაკუნს საქართველოს ისტორიაში შესაძრომად.**

**მოძალადე ყოფილი პრეზიდენტი მომენტს და შესაძლებლობას არ უშვებს თავის წარმოსაჩენად. აი, ახლახანსაც ფრანგული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი: კონსტიტუციის თანახმად, ჩემი მანდატი ახალი პრეზიდენტის არჩევამდე გრძელდება. მიხეილ ყველაშვილს მხოლოდ მე კი არა, მოსახლეობაც არ აღიარებს. მე ხალხმა ამირჩია, ის კი ერთი პარტიის მიერ არჩეული პრეზიდენტიაო.**

გვახსოვს მისი სახალხო, ანუ „ხალხის მიერ არჩევა“. რა ყელგამოწვდილი გვეხვეწებოდა „ქართული ოცნება“, მხარი დაგვეჭირა მის მიერ შერჩეული კანდიდატისთვის, ანუ სალომე ზურაბიშვილისთვის; ისიც გვახსოვს – ამ ქალბატონის ინაუგურაცია, როგორ გაარიდეს თბილისს და რა კომედიები ხდებოდა თბილისი-თელავის გზაზე, საითკენაც მანქანების კოლონა მიიჩქაროდა და ამ გზაზე პირდაპირ აკელასავით ნადირობდა ნაცი დავით კირკიტაძე, თუმცა, ვერაფერს მიაღწია. ან რას მიაღწევდა იმ მტკიცედ შეკრულ დაცვაში.

ვთქვათ და მართლა იწვის ეს ქალი საქართველოს სიყვარულით, მით უფრო ემიგრანტი მშობლების მიერ სამშობლოს იძულებითი დაშორებით აბრიალებული ჭიაკოკონის ანარეკლზე. მაგრამ მაშინ მისი პროვოკაციული განცხადებები საიდან? როგორ?

იმავე ინტერვიუში პრეზიდენტ ტრამპის შესახებაც ისაუბრა და სწორედაც პროვოკაციული განცხადება გააკეთა: **ტრამპი ძლიერ ამერიკაზე ლაპარაკობს, მაგრამ რამდენად ძლიერია ამერიკა, თუ 3, 7-მილიონიან ქვეყანას შეუძლია დასავლეთს ზურგი აქციოს, ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობა მიატოვოს და ჩინეთისა და რუსეთისაკენ მიბრუნდეს? რას გააკეთებს ამერიკა, თუ შავი ზღვა მისთვის დაიკეტება? ასე რომ, არსებობს სტრატეგიული და რეალური სამყარო, რომელსაც დონალდ ტრამპი უნდა დაუპირისპირდეს გარკვეული იდეოლოგიური სიმპათიების მიუხედავადო.**

მკითხველი, ბუნებრივია, მიხვდა, რომ ამერიკის მოწინააღმდეგე 3,7-მილიონიანი ქვეყანა, რომელმაც, თურმე, ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობა მიატოვა, საქართველოა. აშკარაა, ზურაბიშვილი ესწრაფვის, წააქეზოს ამერიკა, რომ მან შემოულაწუნოს „ზურგშექცეულ“ 3,7-მილიონიან ქვეყანას.

შემდეგ ვირეშმაკა „პრეზიდენტი“ უფრო შორს წავიდა. იმ გზავნილებს გაუსვა ხაზი, რომლებიც უნდა მივიტანოთ სხვადასხვა ქვეყნების ხელმძღვნელებთან მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე – **„თუ რა ხდება დღეს საქართველოში, სადაც არის არა მხოლოდ დიქტატურა, რუსული რეჟიმი, არამედ აქ დგას საშიშროება, რუსეთმა მოიგოს ის, რაც ვერასდროს მოიგო და ეს იყოს პირველი ასეთი მარცხი დასავლეთისთვის ევროპისა და ამერიკის ახალი ადმინისტრაციისთვის“.** ანუ, თუ ამერიკა საქართველოს ვერ დააჩოქებს, რუსეთს დასავლეთი ვერ მოუგებსო და... ზურაბიშვილმა ახალარჩეულ პრეზიდენტ ტრამპს საქართველო არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთთან ბრძოლის მოედნად შესთავაზა.

**ყველა ხვდება, რომ ეს რჩევა, მით უფრო ფასეულია, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალია და თავიდან ფეხებამდე სამხედრო სტრატეგიითა და ტაქტიკით არის დატენილი. ამ მხრივ მაინც გაგვიმართლა: რომელი მტერიც გინდა დაგვესხას თავს, წინ სალომე და მორჩა!**

ეს სამხედრო საქმეში. ახლა სხვა სფეროებიც ავიღოთ... ლიეტუველმა ლანდსბერგისმა ეს უმალ შენიშნა და საქვეყნოდ განაცხადა კიდეც: პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სანქციების თვალსაზრისით უდიდესი სამუშაო შეასრულაო.

პრეზიდენტ-მთავარსარდალს უფრო მეტისკენ, ბელადობის – **დალი ჰასანობისკენ** მოუწოდებენ და საამბორებლად ფეხსაცმელებს უპრიალებენ მისი სულიერი შვილები, მისი ერგული ლეიტენანტები. ამ ხალხმა გაავებული ღრენისას ერთმანეთისთვის კბილების ჩვენების ჟამს, პრემიერ-მინისტრობის იშტადაკარგული გიორგი (ჭიჭე) ვაშაძის სახელით სალომე ზურაბიშვილს მოუწოდა, შეკრიბოს მთელი ოპოზიციური ძალები და შექმნას ერთიანი პლაცდარმი რუსული რეჟიმის დასამხობად.

ე.ი. თვით არჩევნებში გამარჯვებული პარტიები უარს ამბობენ ერის წინამძღოლობაზე, აღიარებენ, რომ არა აქვთ მთელი ოპოზიციური ძალების შეკრების და წინამძღოლობის ოფსილა, როგორც ყველაზე შემძლეს – სალომეს სთავაზობენ ერთიანი პლატფორმის შექმნას „რუსული რეჟიმის“ დასამხობად. ან მეტს რატომ ელოდა ვინმე ამ გაყვიზინებული ვაშაძისგან? ცნობილია: თუ ჩასვრილი კაცი, ვთქვათ, ვაშაძე, ვინმე, ვთქვათ, სალომეს აღიარებს თავის „სუზენერად“, ანუ მომრევად, გამლაწუნებლად, თავისზე ძლიერად, დარწმუნებულია, რომ ის „დიდი“ კაცი მართლა საქვეყნოდ დიდია, თავის თანამებრძოლებზე აღმატებული.

**მაგრამ რაგინდ ცამდე აწვდილი ხოტბის მძივი ჩამოჰკიდოს კისერზე ევროპარლამენტმა, რაგინდ დიდი იმედები დაუფინონ ჭიჭემ და სხვა სამშობლოსგან განდგომილებმა, ამ ქალს იმად ვერ აქცევენ, რაც არ არის და არც შეიძლება იყოს. ისეთები კი, რომ არ არიან და არც შეიძლება იყვნენ, ბლომად არიან, უბრალოდ, წარმოსახვითი ტყვიაგაუმტარი ჟილეტები იცავთ, გახდი იმ ჟილეტს და ხელში ერთი დაღლილი, ხანში შესული ქალი შეგრჩება...**

თუმც, ერთი კია:

**სანამ ამ დაღლილ, ხანში შესულ ქალს ეს ტყვიაგაუმტარი ჟილეტი აცვია, საკმაოდ დიდი უბედურების დატრიალება შეუძლია...**

**ალეკო ასლანიშვილი**

საქართველო, რესპუბლიკა
ჩვენი ოდაბადე
№22–23. ორშაბათი, 17 თებერვალი, 2025 წელი

**საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვან ბერიძეთა გვარს (30.100 ადამიანი) წესად გვაქვს, წელიწადში ორჯერ, შობა-ახალი წლისა და აღდგომა-ამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულებს ვულოცავთ მშობლიურ ქართველ (იბერიულ) ერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, სახელისუფლებო ორგანოთა ხელმძღვანელებს და ღვაწლმოსილ მამულიშვილებს. იმის გამო, რომ მიმდინარე წლის 8 თებერვალს მეფეთ-მეფე დავით IV აღმაშენებლის წოდებულის მიერ შექმნილი ოქროს ხანის დასაწყისიდან 900 წელი შესრულდა, ბერიძეებმა გადავწყვიტეთ შობა-ახალი წლის, ნათლისღებისა და ნინოობის დღესასწაულთა მოლოცვა დავამთხვიოთ სწორედ ამ წლის იუბილეს.**

გულმხურვალე მილოცვის სურვილი იმანაც განაპირობა, რომ ბოლო ხანს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა ისეთი კანონები, რომლებიც ჰაერივით სჭირდება ქვეყანაში სადღეისოდ შექმნილ მდგომარეობასა და იდეალურად ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების განმტკიცებასა და საერთაშორისო აღიარებას.

ისტორიული 2 ეპოქის, დავითის გამეფების ხანისა და დღევანდელი ოცწლეულის ანალიზით ღრმად გვჯერა, რომ დიდი მსგავსებაა ამ პერიოდს შორის. თუ 16 წლის დავითმა, დიდი თურქობისა (1080 წ.) და მანამდე გაუგონარი მიწისძვრის ძალზე მძიმე შედეგები დაძლია, წესრიგი დაამყარა, ერს ნათელი მოჰფინა, საერთაშორისო აღიარება შესძინა თავის სათაყვანებელ სამშობლოს, რატომ არ უნდა შეძლოს დღევანდელ საქართველოში ფრიად განსწავლულმა, გაწონასწორებულმა და საერთაშორისო დიპლომატის თვისებებით აღვსილმა – 30-40 წლის ვაჟკაცებმა იგივე? მითუმეტეს, დღევანდელ მსოფლიოში განგების ძალით ისეთი პროცესები ხდება, რომ თითქოს ჩვენი ქვეყნისთვისაა განკუთვნილი!

ქართველმა ხალხმა თავისუფლების მოპოვების შემდეგ განვლილ 35 წლის მანძილზე მრავალი ცოდვა და შეცდომა დაუშვა. უპირველესად, ქვეყანაში ადამიანის მორალი, ზნეობა და ყოფა-ცხოვრების ნორმები დააზიანა. ამიტომაც მრავალჯერ დაგვსაჯა ბუნებამ, არაკეთილმოსურნე სხვა ერმა და შინაურმა „პატრიოტებმა“. მაგრამ ერის პირველ გვარს, ბერიძეებს ღრმად გვწამს, რომ ყოველივე გამოსწორდება, რადგან დღეს მთელი მსოფლიო დიდი ცეცხლის ალში დგას! ჩვენ, ქართველებმა მსოფლიოში მშვიდობის და ჭირთათმენის ყველაზე მეტად დამფასებლებმა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ე. წ. „ხლაპუშკებიდან“ გამოსროლილი ცეცხლი, ბომბების რისხვად არ გადაგვექცეს.

დღეს მსოფლიოს კაცთა შორის სიყვარული, სათნოება და სულის წვრთნა (როგორც ჭაბუა ამირეჯიბი ბრძანებს – წვართა სულისა) იხსნის! და, რადგან ღმერთი სულია, პატივი უნდა მივაგოთ მთელი ჩვენი არსებით და დავიცვათ იგი დიდი განსაცდელისგან. ამიტომაა საჭირო ლოცვა საყდარში, სამსახურში, ქუჩაში, ოჯახში, სუფრასთან და... სიზმარშიც!

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ბერიძეთა გვარისა და მის ფუძეზე აღმოცენებული 62 გვარის (სულაბერიძე, გულაბერიძე, თავბერიძე, კობერიძე, ჭიქაბერიძე და ა. შ., სულ დაახლოებით 60 ათასია, რაც, ქვეყნის მთელი მოსახლეობის 2 პროცენტს შეადგენს) მილოცვა ჩვენი სათაყვანებელი ქართველი ერისადმი.

# ქართველ ერს!

**ერო ძლიერო**, უძველესო, მრავალ ტანჯვასა და წამებას, მარცხსა და სიხარულს გამოვლილო, ივერთა სიცოცხლის საწყისო, ევრაზიის კონტინენტზე აღმოცენებულო და ერთა შორის გამორჩეულო, მსოფლიო ცივილიზაციის წყაროვ, ბერიძეთა ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი მუხლს ვიყრით შენი დიდების წინაშე და პატივს მივაგებთ ჩვენს სახელოვან სამშობლოს.

გვწამს, რომ **საქართველო არის ქართველი ერის სულიერი და მატერიალური სამკვიდრო მსოფლიოს ცივილიზაციის საგანძურში.** ამიტომ გვსურს, ვუსურვოთ მშვიდობა, მხარეთა შორის ძმური დამოკიდებულება და ადამიანთა შორის სულიერი ჰარმონია, შრომა და ჯაფა, მატერიალური სიკეთე და საერთაშორისო მარათონზე ღირსეული წარმოჩენა. შევთხოვთ უფალს, **„გადაარჩინე და გაამთლიანე საქართველო. დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება** (ილია II).

პირველ რიგში, გვსურს, სამართლიანობის დამყარება, კანონის უზენაესობა, სწორი ეროვნული იდეოლოგიის შემუშავება, ოჯახთა ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესება, ემიგრანტთა დაბრუნება და ერის ერთ მუშტად შეკვრა. სხვა შემთხვევაში, როგორც ჩვენი დიდი პოეტი, ფილოსოფოსი და მოაზროვნე დემოკრატი შოთა რუსთაველი იტყოდა: „რაღაა, იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“... სინათლეა – მართლმადიდებლური რელიგიისა და საჯარო ხელისუფლების შერწყმა, რადგან დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი ბრძანებდა: „რელიგია ძალაუფლების გარეშე დაიღუპება, ხოლო ხელისუფლება რელიგიის გარეშე შეწყვეტს არსებობას“. სადღეისოდ სწორედ ეს სწადიათ ჩვენს ავისმზრახველებს.

# წვართა სულისა!..

## საქართველოს გაბრწყინება იწყება!

და ამაზე არამარტო ქართველებმა, არამედ მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამაც უნდა იზრუნოს, რადგან დიდი ფილოსოფოსი იქვე შენიშნავს, რომ „მსოფლიოს ისტორიაში პროგრესი კავკასიის რასის (უპირველესად ქართველთა) წყალობით ხდება“. ამის ნათელი დასტურია სიხარულისა და სიმწრის ცრემლებით გაჟღენთილი საქართველოს გმირული ისტორია, რომლის მსგავსი მსოფლიოში თითქმის არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია. ამ ოქროს ფურცლებით ქართველმა ერმა იბერიელთა წინამორბედი ტომებიდან დაწყებული, დღემდე შექმნა ინტელექტის იმპერია (ინტელექტუალური იმპერია), რომელმაც არ გაიზიარა არც კართაგენის, არც რომის, არც ბიზანტიის, არც მონღოლეთის, არც აღმოსავლეთის, „მზის ქვეყნის“ (სპარსეთის) და არც რომელიმე დიდი ქვეყნის იმპერიის გაქრობის ბედი. ქართული ინტელექტუალური იმპერია მუდმივია და მას გაქრობა არ უწერია, ვიდრე დედამიწის უმშვენიერესი ქართული რასა იარსებებს.

აღნიშნულის ერთი შთამბეჭდავი ოქროს წიგნი დავით IV აღმაშენებლად წოდებულის ეპოქაა, რომელიც მე-12 საუკუნის პირველი მეოთხედიდან იწყება და, დღემდე 900 წელს ითვლის.

1089 წელს 16 წლის ჭაბუკმა დაიდგა მამის (გიორგი II) სამეფო გვირგვინი და მრავალი მტრის ურდოთაგან დაქუცმაცებული („დიდი თურქობის“ – 1080 წ. პერიოდისა) და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გაუგონარი და დამანგრეველი მიწისძვრებით დაქცეული საქართველო ჩაიბარა.

როგორც მწერალი და ისტორიკოსი **ლევან სანიკიძე** წერს: **„მთელი ერთი წელიწადი ირყეოდა მიწა და ირღვეოდა ქვეყანა. იქცეოდა და მტვრად მიდიოდა მთანი და კლდენი, ინგრეოდა და იმარხებოდა სოფლები, ქალაქები, ტაძრები, სავანენი, ციხენი, სრა-სასახლენი – მტრისაგან და სტიქიონისაგან დაქცეულ, უპატრონოდ დაგდებულ ქვეყანაში შეწყდა სამეურნეო ცხოვრება. სიკვდილს გადარჩენილი ხალხი მთებში, ტყეებსა და გამოქვაბულებში გადახვეწილიყო. აღარავინ ხნავდა, აღარავინ თესავდა, აღარავინ მკიდა და თიბავდა. მტერმა, ტყემ და ნადირმა მოიცვა ქვეყანა... სასახლიდან რომ სამეფო სახლეულს ისრის მისაწვდენზე გამოსვლა დასჭირვებოდა, წინასწარ შეიარაღებული მხედრობა უნდა გაეგზავნათ, თურქები დაეზვერათ, ნადირთა ხროვანი დაეფრთხოთ და გზა ისე „გაეწმინდათ“. ქვეყანაში ქაოსი სუფევდა. ძლიერი და ავი ერისთავები თავგამოდებით ებრძოდნენ მეფესაც და საქართველოსაც. ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების შუქიც კი აღარ ჩანდა. მაგრამ სადღაც მბჟუტავი კვარის ალი შეინიშნებოდა...**

**ჭაბუკმა მეფემ დროებით მოიხსნა სამეფო გვირგვინი და თავზე საომარი მუზარადი მოირგო, ტახტის ნაცვლად მხედრული უნაგირი, სკიპტრის ნაცვლად – გუთნის ერქვანი და ხმალს ქარქაში გააძრო... შემოიკრიბა სამშობლოს მოყვარული მამრნი და ახლებურად შთაბერა ერს სული! პირველ რიგში, შინაური ერისთავები და აზნაურები მოთოკა. მოღალატენი, 500-მდე კაცი წვეტიან სარზე გასვა, ავი ერისთავები: ლიპარიტ ბაღვაში და ძაგან აბულეთის ძე – ჯერ დაატყვევა, შემდეგ კი ქვეყნიდან განდევნა. 1103 წელს შეკრიბა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და აღგავა ეკლესიის სისტემაში გამეფებული უწესრიგობა. ჩაატარა საერო და საეკლესიო რეფორმები და შეჰქმნა უმაღლესი სახელმწიფო მთავრობა – სავაზირო, რომელიც ექვემდებარებოდა მეფეს.**

**დავითმა ოპტიმალურად გაანაწილა სახელმწიფოს მართვის ფუნქციები და შეუდგა საქართველოდან დამპყრობი მტრების განდევნას. შექმნა რეგულარული არმია და მოიგო ათობით განმათავისუფლებელი ბრძოლა და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა – 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ომი. მან 55 600 მეომრით გაანადგურა სიმრავლით 6-ჯერ მეტი თურქ-სელჯუკთა არმია. ეს ომი სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით ისტორიაში შევიდა მსოფლიოს ომთა ათეულში. მან თბილისი გაათავისუფლა და სამეფო ტახტი ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოიტანა. დავითი არამარტო ორგანიზატორი, მეომარი, სარდალი, „ძლევაი საკვირველის“ იყო, არამედ დიდი განმანათლებელი და მეცნიერი. მან თავისი შემოქმედება შეაჯამა თავისი ბრწყინვალე ნაშრომით „გალობანი სინანულისანი“.**

დავითმა აღაშენა ქვეყანა! ის იყო მემკვიდრე დიდი ფარნავაზისა, რომელმაც განამტკიცა ქვეყნის საზღვრები და სათავე დაუდო მწიგნობრობას. მემატიანის ცნობით: მან „განავრცო ენა ქართული, არღარა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა“.

დავითი იყო მემკვიდრე ფარსმან ქველისა, რომელსაც ძვ. წელთაღრიცხვის 130 წლისთვის მთელი სამხრეთ კავკასია ემორჩილებოდა. ქ. რომში მისი და მისი ამალის სტუმრობის დროს რომის იმპერატორმა – ანტონიუს

პიუსმა, მის პატივსაცემად ბელონას ტაძრის საკურთხეველთან ცხენზე ამხედრებული ქართველი მეფის ქანდაკების აღმართვა გრძანა!

– ის იყო ვახტანგ გორგასლის ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენისა და გამორჩეული მხედართმთავრის იდეების გამგრძელებელი.

**დავითმა, უფლის წყალობით, დიდებულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობებს და შექმნა „ოქროს ხანა“, რომელიც ყველა ქართველისთვის დღესაც საამაყოა. იგი გამეფდა 16 წლის, იმეფა 36 წელი და გარდაიცვალა 52 წლის, 1125 წლის 24 იანვარს.**

მადლიერმა ქართველმა ხალხმა და ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და უკვდავყო მისი სახელი, აღმშენებლად წოდებულისა!..

დაუვიწყარია მისი სიტყვა დიდგორის ომის წინ. დავითმა შესძლო დაედგა გვირგვინი „აღმაშენებლისა“. მსოფლიო ისტორიაში არ მოიხსენიება ასეთი სახელის არც ერთი დიდი თუ პატარა გვირგვინოსანი. დავითმა ქართველი ხალხის წინამძღოლობით შექმნა კავკასიელი („ამიერ“ და „იმიერ“) ხალხთა ერთიანი მძლავრი სახელმწიფო.

დავით აღმაშენებლის ანდერძში ქართველი ერისადმი უკითხულობთ: „გარნა განაბჭო მართლმსაჯულება მან ღმერთისამან და, ესერა, მიწოდა მე და უწოდა მაგას მეფობაი, მამული და ახლად მოგებული ღვაწლითა ჩემითა და თქვენითა: ნიკოფსიითგან დარუბანდისა და ზღუამდედა ოვსეთიდან სოერად და არეგაწამდე“. დავითის სამეფო გვირგინზე ვკითხულობთ: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვან-შა და შაჰან-შა“.

დავით აღმაშენებელი ნიმუშია ქართველი კაცის გონიერების, მამაცობის, სისხლის სიწმინდისა და სულის ღირსებისა...

* * *

**ჩვენო მამულიშვილნო**, დავითის გამეფების წინა პერიოდი დიდად წააგავს დღევანდელი საქართველოს სულიერ და მიწიერ ყოფიერებას. დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებამ ერის ძალზე მძიმე მემკვიდრეობა ჩაიბარა! და, თუ უკანასკნელ მცირე პერიოდს არ ჩავთვლით, უცხოელთათვის სპეციალურად შექმნილი „კუდის ქიცინის“ გარდა, დიდი არაფერი გაუკეთებია!

ქართველი ერი თავისუფლების მოპოვების (1991 წ.) შემდეგ თითქმის 10 წელი შიმშილობდა. შიმშილმა და მომავლის უიმედობამ ქართველი ადამიანი სულიერად დააკნინა, სისხლიც კი შეურყვნა. უცხოელ „კეთილისმსურველთა“ „მზრუნველობით“, ჯერ უცხოური ვალუტის ხურდები „მიირთვეს“, შემდეგ კი მისი ოდენობები გაუზარდეს. მიაჩვიეს რა ქართველი კაცი მათ ხელშემყურეობას – მერე მათ ქართველი „ჩარჩები“ და „მაკლერები“ დაუნიშნეს... გაზარმაცდა ქართველი კაცი და მოწყდა მადლიერ მიწას, საქმეს, დაკარგა სულიერი და ეროვნული ღირსება. მერე, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ მოთხოვნილებაგაზრდილ კაცს, გაუგონარი პროცენტებით მისცეს სესხები (რომელიც უცხოელებისგან მიიღეს წლიურად 1-3 პროცენტის ოდენობით). 25-დან 48 პროცენტამდე აღებული სესხი ძალზე ბევრმა ვეღარ დააბრუნა სამუშაო ადგილების არარსებობის გამო. ბევრმა დაკარგა საცხოვრისი, ძალზე ბევრი უცხოეთში წავიდა ოჯახის გადასარჩენად და გარანტად ჩადებული ბინის გამოსახსნელად... ამ პროცესს, ჩვენივე უგუნურობით, დაემთხვა ომი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. დედაქალაქისკენ დაიძრა 250.000 ლტოლვილი, რომელიც ვერ განთავსდა თბილისში.

საქართველოდან გადახვეწილთა სახით 1.083.000 კაცი რუსეთმა შეიფარა, 150.000-მდე – თურქეთმა და საბერძნეთმა, 100.000-ზე მეტი ესპანეთმა, 50.000 გერმანიამ და ქართველ კაცთა „სავანე“ ამერიკასა და ავსტრალიაშიც განივრცო...

მერწმუნეთ, ემიგრანტთა 80 პროცენტი უკან აღარაა დამბრუნებელი. ფაქტობრივად, განიბნა ქართული ინტელექტი. მძიმედ დაზარალდა ქართველი ერი. საერთოდ, ჩაკვდა მრეწველობა, განადგურდა მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, შეილახა სოფლის მეურნეობა, ერი გადავიდა უცხოური სურსათით კვებაზე, თითქმის გაქრა ქართული ხორბალი და პური... კატასტროფულად დაეცა განათლების დონე და ეროვნული განათლება უნარ-ჩვევებამდე დავიდა. თავდაცვითუნარიანობას ავტორიტეტი შეელახა და მბჟუტავ კვარს დაემსგავსა... ასეთივე მდგომარეობაშია სხვა დარგებიც!

სულიერად დაეცა ქართველი ერი!

**გოლო ათ წელიწადში გამოჩნდა, როგორც იტყვიან, გვირაბის გოლოს ნათელი, მაგრამ გვირაბი აღმოჩნდა დანაღმულ-დაგლოკილი ევროკავშირის, ევროპარლამენტის, ქვეყანაში გამეფებული „ენჯეოებისა“ და უცხოელთა აგენტების მიერ...**

მაგრამ გამოჩნდა უფლის მიერ წარმოგზავნილი ქველმოქმედი კაცი. აღაშენა რწმენის და იმედის უპირველესი – წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, აღადგინა კედლებად ქცეული ეკლესიათა ნანგრევები, თავისი მზრუნველობა დაატყო კულტურისა და ხელოვნების კერებს, იღვაწა ქვეყნის ინფრასტრუქტურაზე, ადამიანთა დაპურებაზე... განდევნა „სიტყვა მიცემული“ ადამიანები და გადაახალისა პარლამენტი. ბევრს ჩააცვა, დაახურა და ჩააყენა ქვეყნის სამსახურში. და, კვლავ უზნეობად ქცეული ღალატი – პირველი... მეათე... მეასე...

საბოლოოდ, გამოცდამ და შერჩევამ, უფლის წყალობით, შედეგი გამოიღო. ქართული საქმის და დიპლომატიის ორბიტაზე 2 ახალგაზრდა ვაჟკაცი გამოჩნდა. ერთი საქართველოს დასავლეთის კუთხიდან წარმოშობილი, მეორე კი აღმოსავლეთიდან. ორივე განათლებული, ტაქტიანი, გაწონასწორებული, გონიერი, ჩამოყალიბებული მეტყველებით. ორივე ძალზე მოკლე დროში დაეუფლა მართვის საფუძვლებს და თავისუფლად შეაცურა საერთაშორისო პოლიტიკის დიდ ოკეანეში.

მამულიშვილნო, გადაჭარბებულად ნუ ჩამოთვლით თუ ვიტყვი, რომ საერთაშორისო პოლიტიკის დიდ გალავანში 2 მანათობელი ვარსკვლავი გამოჩნდა, მერწმუნეთ, ხვალ მათზე ალაპარაკდებიან საერთაშორისო დონის პოლიტოლოგები და დიპლომატები. ორივეს: ბატონ **ირაკლი კოზახიძესა** და **ბატონ შალვა პაპუაშვილს** უფლის წყალობა მოსავს და მათ ძარღვებში ქართველი ერის ღირსეული შვილების სისხლი დუღს... ისინი სწორი გზით მიდიან, მთავარია, ვაცალოთ!

ამ ორ ადამიანს მხარს უმშვენებენ და აძლიერებენ ისეთი ღირსეული ადამიანები, როგორიცაა: **ირაკლი ღარიბაშვილი, პახა კალაძე, მიხეილ ყაველაშვილი, გიორგი ვოლსკი, მამუკა მდინარაძე, თეა წულუკიანი, დავით მათიკაშვილი, გივი მიქანაძე** და სხვა პარლამენტართა, გუბერნატორთა და მუნიციპალიტეტების მერების მთელი ამალა.

მთლიანობაში, ვფიქრობთ, რომ კარგი გუნდია. განსაკუთრებით, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ გულანთებულ პატრიოტზე, ბატონ მიხეილ ყაველაშვილზე. მიგვაჩნია, რომ უფალმა ბაგრატიონთა გვარს დაუფასა ერის ათასწლოვანი მეფობის მძიმე სამსახური და მათი გვარის სიმცირის (416 ადამიანი) გამო, მათ სიძეს უბოძა პრეზიდენტობის მძიმე უღელი. უფლის ნებას წინ ვერავინ დაუდგება! თუ ბატონი მიხეილი საპრეზიდენტო ნაბიჯებს უფრო თამამად გადადგამს, უფრო მეტად შემტევი დიპლომატი გახდება, გაითავისებს ქვეყნის მთავარსარდლის უზარმაზარ ფუნქციას და პრეზიდენტის აპარატში შექმნის ეროვნული იდეოლოგიის ეფექტურ სამსახურს, მასაც მოკლე დროში შეუძლია, გამორჩეული პოლიტიკოსის გვირგვინი დაიდგას.

ბერიძეთა გვარის მხრიდან შეუძლია მინიმუმ ათასკაციანი ერთი დივიზიის იმედი იქონიოს, სამშობლოსა და ქართველი ერის სულიერი ღირსების დასაცავად.

**და გოლოს, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, ბატონი გიძინა ივანიშვილი! ვფიქროგ, ეს ადამიანი მართლაც უფლის საჩუქარია ქართველი ერისათვის. მან ყველაზე პარგად იცის ქართველი კაცის ხასიათი და გუნება, საქმე და ფუნქცია. რასაც ის აკეთებს, დაუთვლელი და შეუფასებელია.**

**მას არაფერი ენანება თავისი სამშობლოსთვის! ოღონდ უნდა დარწმუნდეს, ესა თუ ის საქმე, რამდენად წაადგება ქვეყანას. სასაცილოა, მის არაკეთილმოსურნეთა ხითხითი ევროპის ბანკში შეტანილ თანხაზე (რადგან საქართველოში შემოტანილი ფული 10 მილიონი აშშ დოლარის ტრანსპორტირებისას, 2012 წლის გაზაფხულზე ნაცებმა მიიტაცეს, დაყაჩაღეს)! პროცენტის ანაზღაურების შეჩერება ვერ დააბრკოლებს მის ზრუნვას სამშობლოზე და თუ ფულიც მხეცურად წაგლიჯეს, მას მაინც ვერ შეარყევენ, რადგან წართმეული მილიონის სანაცვლოდ, მისი ღირსება მილიარდი ღირს, ხოლო სამშობლოს სიყვარულს იგი არანაირ თანხაზე არ გაცვლის! ამიტომ გვსურს, იდგეს მყარად და „არ ირწეოდეს ვითარცა ლერწამი, ქართაგან ძლიერთა!“**

**ვიმეორებ, მისი ეროვნული ღვაწლი შეუფასებელია...**

**ჩვენო მამულიშვილნო**, ერთი წუთითაც არ იფიქროთ ზედმეტად ან მლიქვნელურად ვაქებდეთ წინამდებარე წერილის რომელიმე აღრესატს, ან ფინანსური ინტერესი გამაჩნდეს! არა და არა! ჩვენი გვარის ინტერესი არის ქვეყანაში მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა! დღეს მსოფლიო, მართლაც დიდი ცეცხლის წარმომშობი ალის წინაშე დგას. ხელისუფლების მთავარი მიზანი უნდა იყოს ქვეყნის გადარჩენა! ჩვენმა წინაპრებმა (პირველ რიგში ბაგრატიონებმა) დღემდე მოგვიტანეს სამშობლო და დღეს, ჩვენს ხელისუფლებასა და ქართველ ერს არა აქვს უფლება ,დაკარგოს მამული!

დიდი სურვილი გვაქვს ჩვენს მამულში იბერიელ-ქართველნი ცხოვრობდნენ თავიანთი სულიერი ღირსებით!

ბერიძეთა გვარის უმთავრესი მიზანია 15 ათას ოჯახს ახალი დაბადებული ბერიძენი შეემატოს. ამას ვუსურვებთ ჩვენს გვარს, მომავალი წლის აღდგომამდე!

* * *

**ორი სიტყვით** არ შემიძლია არ შევეხო ევროპასა და ევროკავშირის პარლამენტს! რას ჰქვია: „ევროპაში არ მივდივართ“, „ევროკავშირის პარლამენტის რჩევებს არ ვითვალისწინებთ“, „ავცდით ევროპის გზას“ და ა. შ.

თუ პიროვნულად ვინმეს ევროპაში წასვლა და იქ ცხოვრება უნდა, ღმერთმა მოუმართოს ხელი. რაც შეეხება ქვეყანას, მას კავკასიიდან ევროპაში ვერ „გადადგამთ“, ჩვენ ერს კი სხვაგან არაფერი ესაქმება, რამეთუ, ქართველი ხალხის კულტურა, აზიისა და ევროპის ხალხთა კულტურის სიმბიოზია. მისი დაქვეითება ევროპისა ან აზიის დონეზე, ერს არ ეკადრება. რაც შეეხება ევროპას, ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი მადამ „ფრანცუუანკა“ ხშირად ამაყობს მისი წინაპარი პაპის ნიკო ნიკოლაძის ავტორიტეტით. ეს გენიოსი ქართველი ჩვენს ერს ევროპიდან მოძღვრავდა: **„არ ენდოთ ევროპასა და ევროპის ქვეყნებს! ისინი ან ალჟირივით დაგიპყრობენ, ან ინდო-ჩინეთივით გაგძარცვავენ“!**, ხოლო საქართველოდან გაქცეული და ევროპაში დაწინაურებული უნიჭიერესი ქართველი – გრიგოლ რობაქიძე წერდა:

**„არ გვინდა დედაო სხვა ჯვარი ბერწების,**
**არ გვინდა, სხვა მიწა და სხვა ნასახლები.**
**ვიცით, ჯვარი ვაზის ლხინია ლერწების,**
**ტოტებს აყრიან, როცა გადასხლავენ**
**სასტიკი სასხლავით...“**

გაენათელი **გაბრიელ ქიქოძე** კი ხშირად ქადაგებდა: **„სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი“**.

რაც შეეხება აშშ-ს პოლიტიკას, ქართველები მასაც დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, რადგან ამერიკელი პროფესორი, ბატონი ჯეფრი გვაფრთხილებს: **აშშ-ს მტრობა სახიფათოა, მეგობრობა კი – სასიკვდილო!**

ქართველო მამულიშვილნო, კიდევ ერთხელ ვულოცავ საქართველოს ხელისუფლებას, ერის სულიერ მამას – უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს, ყველა გვარის მამულიშვილს და ღირსეული ქართული გვარების მატარებელ ოპოზიციონერებს, მათ ოჯახებს, შობა-ახალი წელს, ნათლისღებას, ნინოობას, დავითობის 900 წლის იუბილეს! განგების შთაგონებით მიმაჩნია, რომ ამ 5 დღესასწაულის ფონზე **დამოუკიდებელი საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომი საქართველოს გაბრწყინება იწყება...**

შევთხოვთ უფალს, დღევანდელი რთული პროცესი რაც შეიძლება მსუბუქად გადაგვატანინოს, რათა ყველა ერთად ჩავდგეთ ჩვენი სამშობლოს გამთლიანებისა და აღორძინების სამსახურში.

**უფალმა გადაარჩინოს და გააერთიანოს საქართველო!**

**ბერიძეთა საგვარეულოს სახელით,**
**საგვარეულო დარბაზის ეთნარქი**
**ვაჟა ბერიძე,**
**ეკონომიკის დოქტორი,**
**საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი.**
**თბილისი, 2025 წლის 8 თებერვალი.**
**(ტელ: 599.33.53.60)**

# ტიერი მარიანი:

# საქართველომ და სერბეთმა აირჩია სახელმწიფოს ინტერესების დაცვა!..

**„მინდა, ყურადღება გავამახვილო რეზოლუციაზე საქართველოს წინააღმდეგ. მითხარით, არსი რაში მდგომარეობს, როცა ეს ქვეყანა არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა და ევროპარლამენტის მხრიდან სანქციების მოთხოვნას დაექვემდებარა“,** – ამის შესახებ ევროპარლამენტარი **ტიერი მარიანი** აცხადებს.

„მათ გადაწყვიტეს საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვა. რატომ ვაძლევთ ხმას რეზოლუციას, რომელიც საქართველოში გარკვეული პირების მიმართ სანქციების დაწესების მოთხოვნასა და ქართველების მიმართ მუქარას შეიცავს? მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი უბრალოდ უარს აცხადებენ ხელახალი არჩევნების ჩატარებაზე? ამ პარლამენტში თქვეს, რომ არჩევნები გაყალბებული იყო საგარეო ჩარევით. სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშში ნათქვამია, რომ დარღვევები იყო, თუმცა ამაშ საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. ამ ანგარიშში მკაფიოდაა ნათქვამი, რომ არავითარი რუსული ჩარევა არ ყოფილა. და რა გახდა იმის მიზეზი, რომ საქართველოს ახალი არჩევნების ჩატარებას ვთხოვთ და რეზოლუციას რეზოლუციაზე ვიღებთ?

2022 წელს საქართველოში ვიმყოფებოდი. მაშინ ევროპელმა ოფიციალურმა პირებმა ქართველებს უთხრეს, უნდა დაეწესებინათ სანქციები რუსეთის წინააღმდეგ და სრულად შეეწყვიტათ რუსეთთან ურთიერთობა... რა უპასუხეს ქართველებმა? – **უპაცრავად, იცით თუ არა ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ? გინდათ, რომ მთავარ ეკონომიკურ პარტნიორთან ურთიერთობა გავწყვიტოთ? გინდათ, ასიათასობით ქართველი რუსეთიდან სამშობლოში გამოაბრუნონ? შეახსენეს ისიც, რაც მათ ქვეყანაში 2008 წელს მოხდა, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის ხანმოკლე ომი იყო.**

საქართველომ მანამდე ბევრი მხარდაჭერის გზავნილი მიიღო დასავლეთისგან, მაგრამ მიტოვებულები აღმოჩნდნენ და დაკარგეს ტერიტორიის 20%.

საქართველომ და სერბეთმა აირჩია სახელმწიფოს ინტერესების დაცვა, აირჩია საკუთარი მოქალაქეების ინტერესები და არა გრიუსელის სურვილები; შეგვიძლია მათი დადანაშაულება?“...

ნინო ახობაძე:

# დაამხობ ამათ და მოვლენ: მიშა, ვანო, უგულავა, ბოკუჩავა, ჭიაბერაშვილი, დოლიძე, ადეიშვილი, ახალაია, ბარამიძე, ელისაშვილი, ხაზარაძე...

**მოდი, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ხართ ოპოზიციის მომხრე, ანუ – გინდათ უკეთესი მომავალი ქვეყნისათვის, თქვენი შვილებისთვის და არ გაკმაყოფილებთ ამ მთავრობის სათავეში ყოფნა.**

ჰო, რა იყო, ყველა ხომ ვერ იქნება ერთ აზრზე, არსებობენ ადამიანები, ვისაც არსებული ვითარება არ მოსწონს. კი ბატონო.

მოდი, ჩემს თავზე წარმოვიდგენ:

1) ვარ „ნაცმოძრაობის" მომხრე თუ გულშემატკივარი, მხარდამჭერი, რაც არი...

ჰო, აი, ვარ და არ მჯერა ციხის კადრების, ვთვლი, რომ მიშამ მხოლოდ სიკეთე მოუტანა ქვეყანას, რომ კეზერაშვილს თეთრი არ მოუპარავს, რომ ის ქუჩაში და ციხეებში ჩაცხრილული ბიჭები იყვნენ დასახოცი (ვცდილობ, არ ვიცინიკოსო, მაგრამ სხვანაირად არ ვიცი, ეს როგორ დავწერო)... რომ ციხეები სავსე იყო ნამდვილად დამნაშავე ადამიანებით... რომ მიტინგებს და აქციებს არბევდნენ იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო;

არ მჯერა, რომ ვინმეს ქონება გადააფორმებინეს ძალით;

არ მჯერა, რომ მეგის ქარდავა იღებდა ადამიანების წამებას, რომ ამას იყენებდა შემდგომ შანტაჟისთვის;

მომწონს, როდესაც სააკაშვილი საზღვართან მხრებზე ხელს უტყაპუნებდა რუსებს და ეპატიჟებოდა ტურისტებს;

ვამართლებ, რომ უამრავი სტრატეგიული ობიექტი გადაეცა რუსეთს. ასე იყო მაშინ საჭირო.

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

აი, არ მჯერა და რა ვქნა?

მჯერა და მწამს, რომ ეს ყველაფერი მოგონილია.

მინდა ისევ წინა მთავრობა.

ანუ ვარ ნაცი. არ მრცხვენია ამისი, ხმამაღლა ვაცხადებ ამას და ვდგავარ აქციებზე...

კი ბატონო, კარგი. გასაგებია ხომ ჩემი პოზიცია?

ახლა კი

2) რაც ზემოთ ჩამოვწერე, ყველაფერ ამას ვაღიარებ.

ვერ ვიტან მიშას, ვგმობ ყველაფერს, რაც წინა მთავრობის დროს ხდებოდა, გადასარევად ვიცი, რას წარმოადგენენ ნაცები, მახსოვს ყველაფერი და წლები ამას ვგმობდი (უკვე ამ მთავრობის პირობებში),

მაგრამ

ვდგავარ აქციებზე, ვაპროტესტებ, მარშით დავდივარ და ცოცხალი თავით არ ვიჯერებ, რომ ეს ახალგაზრდობა და ამდენი ხალხი ნაცების აგდებულია, ვყვირი, რომ „ესენი და ისინი ერთნაირები არიან!" ან „ამათ გადაასწრეს ძალადობაში ნაცებს!"

მაქვს ზუსტად იგივე პრეტენზიები და მოთხოვნები, რაც ნანუკას!

დაااااااا

ვემსახურები ამ ჩემი პროტესტით

მთავრობის აყირავებას და

ნაცების სათავეში დაბრუნებას!!!

აღარ განვავრცობ. ახლა



მაქვს კითხვა:

რომელი უფრო მისაღებია და რომელია ამ ორი კატეგორიიდან უფრო გასაგები?

ჩემთვის პირველი.

აბა, მიდი და სცადე და მეორეს უთხარი, რომ „შენ ხარ ნაცი".

თვალებს გამოგთხრის...

ჰოდა, რა ვიცი, აბა...

ნაცობა წოდებაა? ტიტულია?

– დაამხობ ამათ, მოვლენ:

მიშა, ვანო, უგულავა, ბოკუჩავა, ჭიაბერაშვილი, დოლიძე, ადეიშვილი, ახალაია, ბარამიძე, ელისაშვილი, ხაზარაძე...

აბა, მე რომ არ მოვალ, ხომ ზუსტად იცით...

ამიტომ

გაუმარჯოს პირველ კატეგორიას! იძახის: ნაცი ვარ! და ატრაკებს ბოლომდე!

მეორესი რა გითხრათ, რით გაგახაროთ...

ვინც გინდა, გაბრაზდით... წამშალეთ, დამბლოკეთ.

# მიუნხენის კონფერენცია და ვაშინგტონის ახალი შერიფი

**14 თებერვალს** მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია გაიხსნა. ეს ყოველწლიური ფორუმი 1963 წლიდან აერთიანებს პოლიტიკოსებს, დიპლომატებს, სამხედრო ოფიცრებს და ექსპერტებს საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების განსახილველად. კონფერენცია გერმანელმა გამომცემელმა და ანტინაცისტმა მოღვაწე ევალდ-ჰაინრიხ ფონ კლაისტმა დააარსა. დროთა განმავლობაში ნატოს ქვეყნებისთვის დასურული ღონისძიებიდან დიალოგის გლობალურ ფორუმად გადაიქცა.

პირველი კონფერენცია მიუნხენში 1963 წელს გაიმართა, როგორც ნატოს ქვეყნების თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენელთა არაფორმალური შეხვედრა. თავდაპირველად ფორუმს „სამხედრო საკითხთა კონფერენცია“ ეწოდა და მისი განხილვის მთავარი თემა ტრანსატლანტიკური კავშირების გაძლიერება და ნატოს ბლოკში ურთიერთქმედების გაღრმავება იყო.

ცივი ომის დასრულებამდე ღონისძიება ვიწრო ფორმატს ინარჩუნებდა. ვითარება შეიცვალა 90-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განხილვას შეუერთდნენ რუსეთი, დსთ-ისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები. 1992 წელს ფორუმს ეწოდა უსაფრთხოების პოლიტიკის კონფერენცია, ხოლო 2008 წელს მიიღო ამჟამინდელი სახელი – უსაფრთხოების კონფერენცია.

კონფერენციის ტრანსატლანტიკური ფოკუსის მიუხედავად, დღეს მას ესწრებიან განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლები, როგორიცაა ჩინეთი, ბრაზილია და ინდოეთი, ასევე ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების ლიდერები, რომლებიც მიუნხენში ჩავიდნენ 2010-იანი წლების „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ.

მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, ღონისძიება მხოლოდ ორჯერ არ ჩატარებულა: 1991 წელს ყურის ომის გამო და 1997 წელს, როდესაც ფორუმის დამფუძნებელმა და დიდი ხნის ლიდერმა ევალდ-ჰაინრიხ ფონ კლაისტმა განაცხადა გადადგომის შესახებ. კლაისტი მიიჩნევდა, რომ ახალი ლიდერების დრო დადგა. თუმცა, მაშინვე ვერ მოხერხდა მისი შემცვლელის შერჩევა, რამაც კონფერენციის გაუქმება გამოიწვია.

2021 წელს პანდემიის გამო მიუნხენის უსაფრთხოების 57-ე კონფერენცია ონლაინ რეჟიმში გაიმართა.

2025 წლიდან მიუნხენის კონფერენციის ხელმძღვანელობა ნატოს ყოფილ გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს გადაეცა.

ყოველწლიურად ფორუმი 450-ზე მეტ მონაწილეს იზიდავს, მათ შორის სახელმწიფოს მეთაურებს, მინისტრებს, დიპლომატებს, ბიზნესმენებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. კონფერენციის გახსნამდე ქვეყნდება მიუნხენის უსაფრთხოების ანგარიში – ანალიტიკური მიმოხილვა მიმდინარე საფრთხეებზე.

2009 წლიდან კონფერენცია ანიჭებს ევალდ-ჰაინრიხ ფონ კლაისტის პრემიას მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარებაში შეტანილი წვლილისთვის. 2024 წელს იგი მიიღეს ბარბადოსის პრემიერ-მინისტრმა მია მოტლიმ და ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა და აშშ-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა კლიმატის ცვლილების საკითხებში ჯონ კერიმ.

2009 წლიდან იმართება ახალგაზრდული მრგვალი მაგიდა პოლიტიკის, მედიისა და ბიზნესის 25 პერსპექტიული ლიდერისთვის. შერჩევას ახორციელებს კონფერენციის თავმჯდომარე კორბერის ფონდთან ერთად, რომელიც მხარს უჭერს პროექტებს სახალხო დიპლომატიის სფეროში.

2013 წლიდან ფუნქციონირებს პროგრამა „ახალგაზრდა ელჩები“: კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შანსი ეძლევა სამ სტუდენტს – მოცემულ თემაზე საუკეთესო ესეების ავტორებს. 2023 წელს თემა იყო რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე.

2015 წელს დაიწყო მიუნხენის სტრატეგიული ფორუმი – შეხვედრების დახურული ფორმატი, რომელიც აერთიანებს რამდენიმე ათეულ წამყვან პოლიტიკურ და სამხედრო ექსპერტს, ძირითადად აშშ-იდან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ფორუმის ჩატარების ადგილია ბავარიის ციხე ელმაუ და მისი მიზანია გლობალური უსაფრთხოების სტრატეგიული საკითხების სიღრმისეული განხილვა.

2007 წელს რუსეთის პრეზიდენტი ღონისძიებას ერთადერთხელ დაესწრო. ვლადიმირ პუტინმა გააკრიტიკა მსოფლიო წესრიგის ერთპოლარული მოდელი და შეერთებული შტატების დომინირება გლობალურ პოლიტიკაში. მან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებას უწოდა „პროვოკაცია, რომელიც ამცირებს ურთიერთნდობის დონეს“.

**წელს მიუნხენის კონფერენციაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები არ მონაწილეობენ, სამაგიეროდ, საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერი გიორგი გახარია გაემგზავრნენ. რთული წარმოსადგენი არ არის, რომ მათი მხრიდან ეს ფორუმი საქართველოს ხელისუფლების მორიგი დაბეზღების არენად იქნება გამოყენებული.**

**წელს მიუნხენის კონფერენციაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები არ მონაწილეობენ, სამაგიეროდ, საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერი გიორგი გახარია გაემგზავრნენ. რთული წარმოსადგენი არ არის, რომ მათი მხრიდან ეს ფორუმი საქართველოს ხელისუფლების მორიგი დაბეზღების არენად იქნება გამოყენებული.**

ნამდვილ სენსაციად იქცა კონფერენციაზე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ ჯეი დი ვენსის გამოსვლა. მონაწილეები დარწმუნებული იყვნენ, რომ ვენსი რუსეთ-უკრაინის ომზე ისაუბრებდა, თუმცა ვიცე-პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა თავად ევროპა. **CNN**-ის შეფასებით, ვენსმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ევროპას.

„ევროპასთან მიმართებაში ყველაზე მეტად საფრთხე, რომელიც მაწუხებს, არც რუსეთია და არც ჩინეთი, ან რაიმე სხვა გარე ფაქტორი. მე შეშფოთებული ვარ საფრთხის გამო, – ეს არის ევროპის უკუსვლა მისი ფუნდამენტური ღირებულებებიდან“, – განაცხადა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა. მან ხაზი გაუსვა, რომ ევროპელი პოლიტიკოსები თრგუნავენ სიტყვის თავისუფლებას, კონტროლს კარგავენ მიგრანტებზე და უარს ამბობენ „მემარჯვენეებთან“ თანამშრომლობაზე. ვენსმა პირდაპირ დაადანაშაულა ევროპული პოლიტიკური ელიტა საკუთარი ხალხის მიმართ შიშში და თანმიმდევრულად ჩამოთვალა შემთხვევები, როცა ევროპას „რეპრესიული რეაქცია“ ჰქონდა გამოხატვის თავისუფლებაზე. მათ შორის მან დაასახელა შემთხვევები, როდესაც ბრიტანეთში აბორტების კლინიკასთან ლოცვისთვის პროფესორი დააპატიმრეს, ხოლო ათასობით ახლომდებარე სახლებში მცხოვრებთ წერილობითი გაფრთხილება დაუგზავნეს, რომ შესაძლოა საკუთარ სახლში ლოცვაც კი დასჯადი იყოს.

„თუ თქვენ გეშინიათ გამოხატვის, თვალსაზრისის და პოლიტიკური შეხედულებებისა, რომლითაც თქვენი ხალხი ხელმძღვანელობს, თუ თქვენ შიშით გაურბიხართ საკუთარ ამომრჩეველს, მაშინ ამერიკა ვერაფერს გააკეთებს თქვენთვის, ისევე, როგორც თქვენ ვერაფერს არგებთ ამერიკას“.

ვენსმა პირდაპირ მიუთითა, რომ ბრიუსელი ხურავს მისთვის მიუღებელ და საძულველ სოციალურ ქსელებს, გერმანია დაადანაშაულა ანტიფემინისტური კომენტარების გამო მოქალაქეთა მიმართ რეიდების განხორციელებაში, შვედეთი – ქრისტიანი აქტივისტის დევნის გამო, ბრიტანეთი კი რწმენის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებზე.

ამავე დროს მან აშკარად მიანიშნა, რომ ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ყველას დიდი ცვლილებები ელის: „ვშიშობ, ევროპაში სიტყვის თავისუფლება უკან იხევს, მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ ვაშინგტონში ახალი შერიფი გამოჩნდა“.

ვიცე-პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, ღიად დაუჭირა მხარი მემარჯვენე პარტიის „ალტერნატივა გერმანიისთვის“, რომელსაც სხვა პარტიები ემიჯნებიან და მის ლიდერს – ალისა ვაიდელს პირადად შეხვდა. ერთ კვირაში გერმანიაში ბუნდესტაგის არჩევნები იმართება და ამ მხარდაჭერამ გერმანელი პოლიტიკოსების გულისწყრომა გამოიწვია. ბევრი იმ აზრს გამოხატავდა, რომ ეს გერმანიის შიდა საქმეებში პირდაპირ ჩარევას წარმოადგენს. ხომ არაფერი გეცნობათ?

საერთაშორისო ურთიერთობათა ანალიტიკური ცენტრის (**Istituto Affari Internazionali**) დირექტორი ნატალი ტოჩი აცხადებს, რომ „ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მიზანია ევროკავშირისა და მისი ლიბერალურ დემოკრატიის განადგურება“.

ვენსი რუმინეთში საპრეზიდენტო არჩევნების გაუქმებასაც შეეხო და განაცხადა: ახლა იმ ეტაპზე ვართ, ვითარება იმდენად დამძიმდა, რომ დეკემბერში რუმინეთმა პირდაპირ გააუქმა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები სადაზვერვო სააგენტოს სუსტი ეჭვებისა და მეზობლების უზარმაზარი ზეწოლის საფუძველზე. როგორც მე მესმის, არგუმენტი იყო ის, რომ რუსული დეზინფორმაცია რუმინეთის არჩევნებში იყო შეღწეული, მაგრამ ჩემს ევროპელ მეგობრებს მოვუწოდებ, მოვლენებს უფრო ფართო პერსპექტივიდან შეხედონ. შეგიძლიათ მიიჩნევდეთ, რომ არასწორია, როდესაც რუსეთი ცდილობს სოციალური მედიის რეკლამებით თქვენს არჩევნებზე გავლენის მოხდენას – ჩვენც ასე ვფიქრობთ. შეგიძლიათ მსოფლიო არენაზეც დაგმოთ ეს. მაგრამ თუ თქვენი დემოკრატია შეიძლება დაინგრეს რამდენიმე ასეული ათასი დოლარის ღირებულების ციფრული რეკლამით, რომელიც უცხო ქვეყნიდან მოდის, მაშინ თქვენი დემოკრატია თავიდანვე არც ისე ძლიერი ყოფილა.

გავოცდი, როდესაც ყოფილი ევროკომისარი ტელევიზიით გამოვიდა და გახარებული ჩანდა, რომ რუმინეთის მთავრობამ გააუქმა არჩევნების შედეგები. მან გააფრთხილა, რომ თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით არ წავა, იგივე შეიძლება მოხდეს გერმანიაშიც. ეს განცხადებები შოკისმომგვრელია ამერიკელებისთვის. წლების განმავლობაში გვეუბნებოდნენ, რომ ყველაფერი, რასაც ვაფინანსებთ და მხარს ვუჭერთ, ჩვენი საერთო დემოკრატიული ღირებულებების სახელით არის, მაგრამ როდესაც ვხედავთ, რომ ევროპული სასამართლოები აუქმებენ არჩევნებს, ხოლო მაღალი თანამდებობის პირები სხვა არჩევნების გაუქმებით იმუქრებიან, საკუთარ თავს კითხვა უნდა დავუსვათ – ვიქცევით თუ არა საკმაოდ მაღალი სტანდარტების მიხედვით?“ – დასძინა მან.

**ასე და ამგვარად, საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურა სრულიად ახალ სახეს იძენს და ევროპელ ბიუროკრატებს, რომლებიც სხვა ქვეყნებს ამუნათებენ, ახალი შერიფისთვის ბევრი ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევთ. სავარაუდოდ, იგი მხოლოდ ახსნა-განმარტებას არ დასჯერდება და ევროკავშირის შიგნით ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდოთ.**

# სულხან მოლაშვილის მამის სკანდალური ინტერვიუ!

***2004 წლის აპრილში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების, უფრო სწორად კი, რეჟიმის დროს, იმდროინდელი სასამართლოს მიერ, ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, დანაშაულის დაფარვისა და სახელმწიფო თანხების მითვისების ბრალდებით, კონტროლის პალატის მაშინდელ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სააკაშვილის დანაშაულებრივი დაჯგუფება მოლაშვილს ციხეში სასტიკად აწამებდა, რისი ამსახველი ფოტოებიც საზოგადოებამ შემდგომში იხილა. ის აცხადებდა, რომ მის წამებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ გიგა ბოკერია. ზურაბ ადეიშვილი და გოგა გრიგალაშვილი, თუმცა, არც მაშინდელ და არც ამჟამინდელ ხელისუფლებას აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება არ დაუწყია, შესაბამისად, წამებაში მონაწილე პირები ამ დრომდე არ დასჯილან... მოლაშვილს დაკავებიდან თვეების განმავლობაში არ ეწეოდა ციხეში სათანადო მკურნალობა, რის გამოც ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნა... საერთო ჯამში, სულხან მოლაშვილმა ციხეში 9 წელზე მეტი გაატარა, ბოლოს კი ის პატრიარქის თხოვნით შეიწყალეს... მოლაშვილმა 2004 წელს მისი წამების და ღირსების შემლახველი მოპყრობის ფაქტზე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართა, რომელმაც 2014 წელს დაადასტურა, რომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე მართლაც იყო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს დააკისრა საქმის ხელახალი გამოძიება და მოლაშვილისთვის, მორალური კომპენსაციის სახით, 20 ათასი ევროს გადახდა. სულხან მოლაშვილი, უკიდურესად გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შედეგად, 2016 წელს გარდაიცვალა... რ ა ხდება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დღეს და დაიწყო თუ არა ხელახალი გამოძიება? თემაზე სასაუბროდ სულხან მოლაშვილის მამას, ბატონ თამაზ მოლაშვილს დავუკავშირდით:***

– არ ვიცი, ვის ეკუთვნის ეგ ამბავი – პროკურატურას, სასამართლოს, მთავრობას... „ბრმავ, რას ჩივიხარო და ორივე თვალსაო“, ნათქვამია – მაგას ვჩივი მთელი ჩემი ცხოვრება და ყოველთვის ვიძახდი, სამართალმა პური უნდა ჭამოს, რომ ამქვეყნიდან როცა წავალ, სულხანის მივუტანო ამბავი, რომ საქართველოში სამართალმა იზეიმა... როდესაც სულხანი სტრასბურგის სასამართლომ ოთხ პუნქტში გაამართლა, მიაწერა – ახლიდან გამოიძიეთ ეგ საქმეო. იმ დროს სულხანი საფრანგეთში მკურნალობდა, ცოტა ხნით აქ იყო ჩამოსული და ვუთხარი – შვილო, როდის გამოიძიებენ-მეთქი? ასე მითხრეს, განცხადება დაწერეო, თხოვნაო, რომ ახლიდან გამოიძიონო, ასე მიპასუხა... წარმოგიდგენიათ?! კარგი, დაწერე-მეთქი, შვილო, და ვის დავუწერო, მამა, კუბლაშვილს, მეიშვილს თუ ვისო? ვინც ასეთ დღეში ჩამაგდო, იმათ დავუწეროო? სტრასბურგმა მაგათ დაავალა ხელახალი გამოძიება და თუ ნამუსი აქვთ, კეთილი ინებონ და გამოიძიონო...



მას შემდეგ, რაც სულხანი დამეღუპა, ვის აღარ მივმართე, – ღმერთი არ გწამთ-მეთქი?

ამის მერე გამწარებული ვიძახდი – რაც მე და ჩემმა ოჯახმა გადავიტანეთ, კიდევ შეღავათს მივცემ, რადგან კაცის წყევლა ცუდია და იმის ნახევარი გამოაცდევინოს იმათ ოჯახებს, ვინც სამართლიანობის აღდგენაზე უარი თქვა-მეთქი!

მარტო ჩემს შვილზე კი არ არის აქ საუბარი.

თუ საქართველოში სამართლიანობა არ აღდგა, არც სულხან მოლაშვილის საქმეს გამოიძიებენ და რომელი ერთი გითხრათ კიდევ, შვილო?!

გამწარებული კაცი ვარ, ღამე გამეღვიძება ხოლმე და ჩემთვის ვტირი, ეს რა ქვეყანაში გვიხდება ცხოვრება...

მე მუსიკოსი ვარ, ხელოვნების მუშაკი ვარ და კონკრეტულად ვის ეკუთვნის სულხანის საქმის გამოძიება, არ მესმის მაგდენი...

ერთ რამეს დააკვირდით, აბა – სულხანი რომ იძახდა, გიგა ბოკერიამ მაწამაო, გაზეთშიც წერდა, ტელევიზიითაც ამბობდა – თუ გაგიგიათ როდისმე, რომ ბოკერიას ეთქვა, ტყუილია ეგო?

სულხანს რომ ვეკითხებოდი ამაზე, რატომ არ იღებს ბოკერია ხმას-თქო, მიპასუხა – იმიტომ არ იღებს, რომ მერე ისეთ დეტალებს ვეტყვი, ენას მუცელში ჩაიგდებსო.

როდესაც სულხანი კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დააყენეს, მასთან მუშაობდა ვინმე ბოკერია, ხნიერი კაცი და უთქვამს – მე წავალო და ჩემი შვილი,

## გიგა ბოკერია

ლევან ბოკერია, მიიღეთ ჩემს მაგივრადო. როდესაც სულხანმა ის ყმაწვილი გაიცნო, როგორც შვილს, ისე მოეფერა, ასწავლა საქმე... მამამისიც დატოვა სამსახურში და შვილიც მიიღო. როდესაც „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, სულხანს ამბავი მოუტანეს, კარგი თვალით არ გიყურებენ ესენი შენო (მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას გულისხმობს - ნ.ლ.), ჩემმა შვილმა იმ ახალგაზრდა ბიჭს, ლევან ბოკერიას უთხრა – შენი მოგვარე თუ ნათესავი რომ არის, წადი ერთი და ჰკითხე, რას გვერჩის, რა უნდა ჩვენგანო. წავიდა ის ყმანვილი და რომ მოვიდა, სულხანს ეუბნება – გიგა ბოკერიამ სია მაჩვენაო, აი, ესენი უნდა დავიჭიროთო და იმ სიაში თქვენც ხართო...

ესე იგი, გიგა ბოკერიას თავიდანვე განზრახული ჰქონდა სულხანის დაჭერა და ამის მოწმეც არსებობს, ის ახალგაზრდა ბიჭი! დანაშაული არ ჰქონდათ ადამიანებისთვის დადგენილი და სიები ჰქონდათ უკვე, ვინ დაეჭირათ იმ შობელძაღლებს!

ბოკერია დღეს ციხეში უნდა იჯდეს, გინდაც ფულის გაფლანგვაზე, გინდაც სისხლისმსმელობაზე.

ხმამაღლა ვაცხადებ და არავინ გაბედოს შეპასუხება: გიგა ბოკერია არის დამნაშავე და მკვლელი!

რაც თავის ცხოვრებაში მაგას ცუდი გაუკეთებია, პასუხი არ უნდა აგოს? მე იმას კი არ ვამბობ, ჩამოახრჩვეთ, დახვრიტეთ-თქო, კუთხეში მაინც დააყენეთ და ბოდიში მაინც ათქმევინეთ, კაცო!

ჩემს შვილს არც ბოდიში უშველის აწი და არაფერი, მაგრამ რაღაცნაირად გულზე მივიდოდა, რომ კაცმა დანაშაული იგრძნო. პირიქით, აქეთ თავზე გვაჯდება დღეს და გვმოძღვრავს!

რად უნდა საქართველოს ასეთი დემოკრატია, ერთი მითხარით?

**– ნამდვილად, თუ დამნაშავეები არ ისჯებიან, ეს როგორი დემოკრატიაა, მე არ ვიცი...**

– რა თქმა უნდა! დამნაშავეს პასუხი რაღაცნაირად მაინც ხომ უნდა აგებინო? მაგრამ არა, ხელს არ ატოკებენ! ეს ყველაფერი კი მიშა სააკაშვილიდან მოდის. არ ვაქებ, მაგრამ ჩემი შვილი ვაჟკაცური სულის პატრონი იყო, სააკაშვილი კი არაკაცი, ფეხებზემკიდია, უპრინციპო ადამიანი იყო, ამიტომ სულხანი ცოტა კახურად ეპყრობოდა ხოლმე, მკაცრად. ერთხელ მეც კი ვაგინე მაგას, არ დამავიწყდება...

**– როდის? რა მოხდა?**

– სულხანის დაბადების დღე იყო, ამას გიყვებით ჯერ კიდევ იმ დროზე, სანამ „ვარდების რევოლუცია“ მოხდებოდა. 11 საათი იყო უკვე, სტუმრები მოსულები, სულხანი ჯერ არ ჩანდა. ცხონებულმა მისმა სიდედრმა მითხრა – ბატონო თამაზ, ხალხი მშიერია, დავსხდეთ მაგიდასთან, სულხანი როდის მოვა, ხომ არ ვიცითო... დავსხედით და სულხანი 12-ს რომ გადაცდა, მერე მოვიდა. სტუმრად სანდრა რულოვსი და მაცაცო გვყავდა კიდევ, ორივე მღეროდა, სულხანის ცოლისდა, ცხონებული, როიალზე უკრავდა და მოკლედ, მხიარულება იყო. გავიდა ცოტა ხანი და მობრძანდა სააკაშვილი, მე თამადა ვიყავი და დავინახე, რომ სამი-ოთხი პატარა ჭიქა ღვინო დალია, ჭამა, ჭამა, ჭამა და მერე ადგა, გვერდით გავიდა. მე შემოსწრებულის სადღეგრძელოს დალევას ვაპირებდი უკვე და სულხანს ვკითხე – რა იქნა მიშა-მეთქი? ვიფიქრე, ალბათ, ტუალეტში გავიდა-მეთქი... წავიდაო, სულხანმა მიპასუხა. აღარ მივაქციე ყურადღება ამ ამბავს და რადგან თამადა ვიყავი, სანამ ბოლო სტუმარი არ გავიდოდა სახლიდან, მანამდე სუფრას ვხელმძღვანელობდი. მოგვიანებით სულხანი მოვიდა და მეუბნება – მამა, მიდი, სანდრა ჩასვი მანქანაში და სახლში გააცილეო... მაპატიე, შვილო, ახლა რასაც ვიტყვი და – ერთი მაგის პატრონის დედაც-მეთქი, ვუპასუხე სულხანს. ქმარი აქ არ ჰყავდა? ვერ წაათრია-მეთქი? კი, საზოგადოებაში მიღებულია, რომ ცოლი სადღაც მუშაობს, ქმარიც სადღაც მუშაობს, მერე სადმე დაგპატიჟებენ და მიხვალთ, მაგრამ შუაღამისას ნასვამ ხალხში ცოლს ვის უტოვებ, მე მაგის დედა ვატირე? ეგ კაცობაა? ჩაისვი ცოლი მანქანაში, მიიყვანე სახლში, დატოვე და მერე თავში ქვა გიხლია, სადაც გინდა, წადი! და ასეთი რამდენი ერთი გითხრათ კიდევ... ასეთი რაღაცების გამო ლანძღავდა ხოლმე მერე სულხანი მიშას, ამიტომ როგორც ჩანს, პირადი ანგარიშებიც ჰქონდა მიშას ჩემს შვილთან, რომ სხვებივით არ წაუწვა მაგას სულხანი, გვერდში არ დაუდგა მის გოთვერნულ-მაიმუნურ საქმიანობაში!

და დამიღუპეს შვილი...

**– დღესაც ხომ არიან სისტემაში ჩატოვებულები ის ნაცები, რომლებიც კარგი საქმეებით და ადამიანობით ისევე ვერ დაიკვეხნიან, როგორც სააკაშვილი და მისი ბანდა...**

– დიახ... შე დალოცვილო, ისეთი ახალგაზრდობა მოდის, ბრწყინვალე იურისტები, ეკონომისტები, ნიჭით გატენილი თაობაა – ესენი დანიშნე და ამუშავე!

ძალიან გულგატეხილი ვარ, შვილო...

ორი პარასკევი მაქვს დარჩენილი, 85 წლის გავხდი უკვე და ჩემს შვილთან როცა წავალ, მინდა, ამბავი მივუტანო, რომ სამართალმა იზეიმა...

ყურს არ იბერტყავენ! რა უნდოდა ბოკერიას პარლამენტში?

კიდევ ერთ რაღაცას გეტყვით: ქუჩაში როცა მივდივარ, სულ უცხო ადამიანი მტაცებს ხოლმე ხელს და



**„გიგა ბოკერიას თავიდანვე განზრახული ჰქონდა სულხანის დაჭერა! ბოკერია დღეს ციხეში უნდა იჯდეს, გინდაც ფულის გაფლანგვაზე, გინდაც სისხლისმსმელობაზე. რაც თავის ცხოვრებაში მაგას ცუდი გაუკეთებია, პასუხი არ უნდა აგოს?“**

# დამნაშავეა და მკვლელია!

მეუბნება – თქვენ სულხანის მამა არ ხართ? მომისამძიმრებს ხოლმე, მეფერებიან...

ძალიან ხშირია ასეთი შემთხვევები.

ერთხელაც ავდექი და გიგა ბოკერიას დედას, ნანა ალექსანდრიას მივწერე – ქალბატონო ნანა, საქართველოს დედოფალი იყავით ჭადრაკში, ყველას უყვარდით და მეც პატივს გცემთ, მაგრამ ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან: როდისმე თუ გაუჩერებიხართ ქუჩაში ვინმეს და უთქვამს თქვენთვის, ეს რა კარგი შვილი გაგიზრდიათო?

არ გეტყოდნენ მაგას და იცით, რატომ?

იმიტომ, რომ თქვენს შვილს სულ დედას აგინებენ-მეთქი.

გიგას მეზობელი ხომ არ ხარ?

დედა ხარ და რას აგინებინებ ხალხს, დაელაპარაკე შენს შვილს-თქო...

რა, ტყუილი მივწერე რამე?

კაციშვილს არ გაუცია პასუხი.

ასე ვიოხებ ხოლმე გულს, რომ იტყვიან...

**– ბატონო თამაზ, როგორ ფიქრობთ, რატომ არ იძიებენ თქვენი შვილის საქმეს, რატომ არავინ კიდებს ბოკერიას ხელს, რომ როგორც მინიმუმ, გამოძიება დაიწყოს სულხანის წამების საქმეში მის ბრალეულობასთან დაკავშირებით?**

– მარტო გიგა ბოკერიას, შვილო? რაც მაგას და სხვებს დანაშაული აქვთ ჩადენილი...

გინდაც გიგი უგულავა ავიღოთ, 48 მილიონი შეჭამა და ციხეში სულ რამდენიმე თვე ჩასვეს. აბა, მე და თქვენ წავიდეთ და ვინმეს 100 ლარი მოვპაროთ, წლებს მოგვისჯიან! იძახიან, რომ ვითომ ამერიკა ეუბნება ამათ ასე, რომ ბოკერიას ხელი არ ახლონ...

საუბედუროდ, მგონია, რომ საქართველოში არც სულხან მოლაშვილის საქმეს გამოიძიებენ და არც, მაგალითად, ზურაბ ჟვანიას საქმეს. ამაზე მეტი ფაქტი რა გინდათ?

კაცი გაზით გაიგუდაო, გვეუბნებოდნენ და გაზი სულ არ ყოფილა იმ ღამეს და რამ გაგუდა?!

ესენი კი გაჩუმებულები არიან, ვითომც არაფერი... ხანდახან რომ ყველა სფეროს გადახედო ადამიანმა, გაგიჟდები...

კი ბატონო, შეიძლება რაღაცაში ეჭვი შეგეპაროს, ნამდვილად არის თუ არა ესა და ეს პირი დამნაშავე, მაგრამ დანაშაულის ჩადენის 100%-იანი ფაქტები რომ გაქვს ცხვირწინ, ამასაც რომ არ იძიებ და დამნაშავეს არ სჯი, რაღაზე უნდა ისაუბრო საერთოდ? გული მაქვს გაგლეჯაზე, რომ იტყვიან... ჩემი საწოლის პირდაპირ სულხანის ბავშვობის სურათები მაქვს გაკრული და ღამე რომ მეღვიძება, ვუყურებ და ვტირი...

ჩემი შვილი, იცით, რამ დაღუპა? ჯიშიანი ქართველი ვარო, სულ ამას იძახდა. სხვათა შორის, გიგლა ბარამიძე მაგის მეგობარი იყო, ძალიან კარგი ბიჭია, ვენაცვალე მაგას და იცით, რამდენჯერ უთხრა? წამო, სულხან, წავიდეთ, ესენი ჩვენ ხეირს არ დაგვაყრიანო... გიგლა ადგა, წავიდა და ცხრა წელი ემიგრაციაში იყო, აქ მის ოჯახში რომ მიდიოდნენ ნაცები, აწიოკებდნენ ყველას... გიგლა ახლა ცოცხალია, ჩემი შვილი კი, თავისი ჯიუტობით, აღარ მყავს...

რა ვქნა, ამაყი იყო, არ წავიდა, აქ დარჩა, წასულიყო ისიც გიგლასთან ერთად და მერე ხომ ჩამოვიდოდა... როდესაც სულხანი დაიჭირეს, მანამდე ის მის უწმინდესობასთან, პატრიარქთან მივიდა, პატრიარქმა დალოცა და მერე თავისი ფეხით მივიდა იმათთან, არ მინდა მაგათი წიოკიო... მივიდა თუ არა, იმ საღამოსვე დააკავეს...

სულხან მოლაშვილის დაპატიმრებაზე ხელი ქალაქის პროკურორმა გრიგალაშვილმა კი არა, რესპუბლიკის პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა მოაწერა!

მე ახლა მას მივმართავ: ბატონო ირაკლი, მანახეთ ის საბრალდებო დასკვნა, რის შედეგადაც თქვენ ხელი მოაწერეთ სულხანის დაპატიმრებას!

იცით, რა ეწერა მასში?

37 ათასი ლარი დაურიგა თავის თანამშრომლებსო...

მერე ის თანამშრომლები იძახდნენ, მოვიტანთ, კაცო, უკან, თუ მაგაზეა საუბარიო...

მერე და მერე კი, იცოცხლე, ხან რა მოუგონეს სულხანს, ხან რა!

ირაკლი ოქრუაშვილო, მე შენი ასე და ისე!

კაცობა რა უყავი? მაგრამ რა გინდა, ყველას გმირობას ხომ ვერ მოსთხოვ ადამიანი – სააკაშვილმა უთხრა, სულხანი უნდა დავიჭიროთო და ამანაც მოაწერა ხელი! მაშინ რომ ოქრუაშვილს ხელი არ მოაწერა, მართალია, პროკურორობიდან გაათავისუფლებდნენ, მაგრამ კაცის სახელი დარჩებოდა!

ახლა სადმე რომ შემხვდეს, პირდაპირ ვეტყვი – არაკაცი ხარ, შენი ასე და ასე-მეთქი!

**– ცნობილი ამბავია, რომ სულხანს ჯანმრთელობის მდგომარეობა სწორედ საპატიმროში გაუუარესდა და წამების კვალიც ეტყობოდა, ამის ამსახველი ფოტოებიც იხილა საზოგადოებამ... როგორც ჩანს, თავიდანვე განწირული იყო ნაცრეჟიმის მხრიდან, რომ მისთვის ყურადღება არ მიექციათ ციხეში...**

– სულხანს ღვიძლის დაავადება რომ აღმოაჩნდა, ექიმს უთხრეს – ეგ არ თქვაო, „ზემოთ“ ეწყინებათო... 11 თვე გავიდა ისე, რომ სულხანი დაავადებული იყო ღვიძლზე და არ პატრონობდნენ!

წამებას რაც შეეხება – ნანა კაკაბაძემ ატეხა ერთი ამბავი, თორემ ჩვენ ვინ გვეტყოდა მაგას? ხმაურის ატეხვის მერე გაირკვა ყველაფერი, სურათიც რომ გადაუღეს, რას დაამსგავსეს ციხეში სულხანი...

**– თქვენი შვილი ყოველთვის ხაზგასმით და ხმამაღლა აცხადებდა, რომ ციხეში მის წამებაში მონაწილეობას გიგა ბოკერია, ზურაბ ადეიშვილი და გოგა გრიგალაშვილი იღებდნენ. ხომ არ უთქვამს მას თქვენთვის, მის წამებას სხვა თვითმხილველები თუ ჰყავდა? ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათი დაკითხვაც იქნებ მოხდეს როდისმე, რომ საქმის ხელახალი ძიება ბოლოს და ბოლოს დაიწყოს და ბოლომდე მივიდეს.**

– თქვენ ვინც ჩამოთვალეთ, მაგ გვარებს ასახელებდა მხოლოდ, შვილო, ის აღარ ვიცი, წამების დროს ვინ სად იდგა, ვინ ჩამოაცვა თავზე ტომარა, ზურგზე რომელი აწვავდა სიგარეტს...

პირველივე ღამეს სულხანი კრიმინალების საკანში „შეაგდეს“, მაგათ ეგონათ, რომ პატიმრები ჩემს შვილს დედას უტირებდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა – ხელისგულზე დაისვეს...

მერე ერთი ამბავი ავტეხეთ და საავადმყოფოში გადავიყვანეთ...

ის 11 თვე რომ ემკურნალათ, იქნებ შვილი ცოცხალი მყოლოდა ახლა?! ისეთ მდგომარეობაში ჰყავდათ, ციხის მერე საფრანგეთში რომ წავიდა სამკურნალოდ, იქაც ვერ უშველეს ექიმებმა, რადგან კაცი გათავებული იყო უკვე...

**– როგორ ფიქრობთ, თუ გაქვთ მაინც გამოძიების იმედი?...**

– არა, არა... ჟვანიას საქმეს იძიებენ, შვილო? აი, მოწმეებზე რომ მკითხეთ წეღან, მოწმეზე მეტი რაღა უნდათ, იმ ღამეს გაზი საერთოდ არ იყო, მაგრამ გამოვიდნენ მერაბიშვილი და ვიღაცები და გინდა თუ არა, გაზმა გაგუდაო...

დღეს შეცვლილია რეალობა.

ჩვენ ამერიკისთვის კიკუს როლში აღარ ვართ, შვილო – გააღე პირიო, კანფეტი უნდა გაჭამოო, გვეუბნებოდნენ... ჩვენც ვაღებდით პირს, გვაჭმევდნენ კანფეტს... ახლა გაიხადეო, ახლა დაწექიო, ახლა წადიო, გვეუბნებოდნენ...

აი, ახლა სხვანაირად დგას საკითხი და ცოტა იმედიც მეძლევა ხოლმე ხანდახან... თუ არადა, ავდგები და ვიშიმშილებ, მაგის დედაც ვატირე, ოღონდაც ქალი ქალს ჰგავდეს, კაცი – კაცს და სამართალი იყოს ამ ქვეყნად!

რა ვქნა, ასეთი ვარ, ტყუილად არ მიყვარს მოფერება, ყველას საკადრისს ვეუბნები ხოლმე, თუ ვინმესი რამე მომეწონა, იმასაც აუცილებლად ვამბობ.

ჩემს გარდა რამდენი გაუბედურებული ადამიანია კიდევ ამ ქვეყანაზე?

აგერ „მუხროვანის ამბოხის“ საქმეზე რომ დახვრიტეს გია კრიალაშვილი, მისი და ლია კრიალაშვილი წერდა გაზეთში – ცოცხალი ადამიანი ადებს ხელს იმ პირს, ვინც გიას ესროლა, მაგრამ არანაირი რეაგირება არ აქვს არავის...

ბევრი ადამიანია ასე, სამართლის მოლოდინში...

**– დიდი მადლობა საუბრისთვის, ბატონო თამაზ...**

– თქვენ შემოგევლეთ (ტირის)... კაციშვილი არ მიდგას გვერდში, ათასში ერთხელ თუ ვინმე რამეს მკითხავს სულხანზე...

ახლა თქვენ მადლობას მე კი ნუ მეუბნებით, მე თქვენ უნდა გითხრათ მადლობა, რომ ჩემი შვილი გაიხსენეთ, შვილო...

ღმერთმა სიკეთით გატაროთ...

*ესაუბრა*

*ნინო ლაბარტყავა*

# ენჯიოკრატია საქართველოში

(დასასრული, დასაწყისი იხილეთ "სრ". N17-18)

**„პოლიტიკა დამოუკიდებელ საქართველოში ხასიათდება არა დემოკრატიულობით, არამედ არასტაბილურობით, კონფლიქტებით და ავტორიტარიზმით. დასავლეთის საგარეო პოლიტიკამ, დიპლომატიურმა სტრატეგიამ და დახმარების ინტერვენციამ სინამდვილეში გააძლიერა ის, რასაც ლევიცკიმ და ვეიმ „კონკურენტუნარიანი ავტორიტარიზმი“ უწოდეს და, ამასთან ერთად, ხელი შეუწყო პოლიტიკურ არასტაბილურობას და კონფლიქტების გამწვავებას ქვეყანაში. ასეთი მიდგომით მათ დახმარება გაუწიეს საქართველოს ერთმანეთის შემცვლელ მთავრობებს, გაეხანგრძლივებინათ ძალაუფლების შენარჩუნება“... – წერს ჯოელ ლაზარუსი თავის ნაშრომში: „ნეოლიბერალური სახელმწიფოს აღმშენებლობა და დასავლეთის მიერ „დემოკრატიის განვითარებისათვის ხელის შეწყობა“: საქართველოს მაგალითი“.**

საქართველოში პლურალისტული ფეოდალიზმი სუფევს, წერდა 2009 წლის ზაფხულში ათენში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი ილია რუბანისი. მეცნიერი ზუსტად და ღრმად ჩასწვდა ჩვენში არსებული ვითარების არსს: მან დაინახა, რომ ქართული პოლიტიკა ლიდერობაზეა დამყარებული და არა წარმომადგენლობითობაზე; ყველა პარტია რომელიმე პიროვნების გარშემო იქმნება და სწორედ ამის გამოა, რომ პატარა ქვეყანაში 180-ზე მეტი პარტიაა დარეგისტრირებული (ამჟამად 240-ზე მეტი, პ.მ.); პოლიტიკა იმდენად პერსონალიზებულია, რომ ლიდერების პოლიტიკური პოზიციების სხვაობას ხშირად არავინ აქცევს ყურადღებას; საქართველო ქვეყანაა, სადაც სრულიად განსხვავებული, თუნდაც ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკური პროგრამების მქონე ოპოზიციური ლიდერები შეიძლება გაერთიანდნენ მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ პრეზიდენტის გადაყენება უნდათ;

ერთი სიტყვით, ეს არის ფეოდალური ტიპის პოლიტიკური სისტემა, სადაც ტელევიზიაში დადებითი გაშუქების კაც-საათები და პატრონ-კლიენტური ურთიერთობების ინდივიდუალური ქსელები ძალაუფლების მოპოვების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს;

**საქართველოში საერთოდ არ არსებობს საშუალო ფენა; ეს ფენა ვერც იარსებებს ქვეყანაში, სადაც პრაქტიკულად არ არსებობს დაზღვევის სახელმწიფო სისტემა, ჯანდაცვის სახელმწიფო ინფრასტრუქტურა, განათლების სახელმწიფო სისტემა, სახელმწიფო ან „სტრატეგიული“ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურები და ა.შ.** ევროპაში ეს ყველაფერი მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული იქმნებოდა და ხელს უწყობდა იმას, რომ ყოველ სოციალურ ფენას თავისი წვლილი შეეტანა საზოგადოებრივი პარტნიორობის სისტემის შექმნაში;

საქართველოში კი საზოგადოებრივი პარტნიორობა არ არსებობს: პროფკავშირებს კანონით ეკრძალებათ პოლიტიკაში მონაწილეობის მიღება და მათ არსებობას აზრი ეკარგება; მეტწილად აგრარულ სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობს კოოპერატიული მოძრაობა; მიზეზთა გამო ეკლესია ერთადერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელსაც სიტყვა ეთქმის ყველაფერზე, რაც კი ხდება.

მაშ, რა რჩება? თუ პოლიტიკოსები განცალკევებული ინდივიდები არიან, თუ საზოგადოება მხოლოდ ინდივიდების სიმრავლეა, მაშინ, რა უდგას წინ, რომ პოლიტიკური სისტემა სააქციო ფირმად გარდაიქმნას?

საზოგადოებრივ საყრდენს მოკლებულ პოლიტიკურ პარტიებს შეუძლებელია ჰქონდეთ და, შესაბამისად, არც გააჩნიათ ქვეყნის მომავლის განსხვავებული სტრატეგიული ხედვა. სწორედ ამიტომ ვერც ხელისუფლება და ვერც პოლიტიკური პარტიები ვერ სთავაზობენ ხალხს თავის პასუხებს ხალხის და სახელმწიფოს წინაშე მდგარ ძირითად გამოწვევებზე.

**კანონის უზენაესობას დიდი პრობლემები აქვს. ხელისუფლება იღებს კანონებს და შემდეგ თვითონ ახდენს მათ ინტერპრეტირებას შეკავების და დაბალანსების მექანიზმების სრული არარსებობის პირობებში. ნებისმიერი ადამიანი, ვინც გაბედავს ოპოზიციის ფინანსური მხარდაჭერას, საზარელი თავდასხმების სამიზნე ხდება. უდიდესი პრობლემა კი ის არის, რომ ხელისუფლების მხრიდან ძალის გადამეტებას ისევ ცალკეული პიროვნებები ეწინააღმდეგებიან და არა – ხალხი. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ როცა ოპოზიციას არ აქვს ფესვები საზოგადოებაში, ძალაუფლების სტრუქტურის რეფორმირების ნაცვლად მხოლოდ ძალაუფლების სათავეში მყოფი პიროვნებების შეცვლა ხერხდება. ძალაუფლების სათავეში მოსული ადამიანი კი იღებს კარტ-ბლანშს (ანუ მანდატს აკეთოს ის, რაც უნდა) პრეზიდენტობის მთელი ვადისათვის.**

აი, მოკლედ, ის ძირითადი აზრები, რომელიც მოყვანილია რუბანისის წერილში. ბოლოს რუბანისი ასკვნის, რომ ქართული „დემოკრატია“ „პლურალისტურ ფეოდალიზმს“ წააგავს და მოუწოდებს დასავლეთს, გადახედოს პოსტ-საბჭოურ ქვეყნებში რეფორმებისადმი თავის მიდგომას: იქნებ სწორედ ჩვენი ნაკარნახევი რეფორმები ქმნის იმ ტიპის ინდივიდუალიზმს, რომელიც დემოკრატიაში არ გარდაიქმნება? ასეთი კითხვით ამთავრებს წერილს მეცნიერი, რომელიც ჭეშმარიტების ძიებას პოლიტკორექტულობაზე აშკარად მაღლა აყენებს.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ მიდგომას ენჯიოებისადმი: აშკარაა, რომ „ოცნებამ“ პრაქტიკულად არ იზრუნა თავისი მორჩილი ენჯიოების შესაქმნელად და არც არსებული, მათ შორის ნაცების ძველი და ახალი ენჯიოების დამორჩილებაც უცდია. ასევე აშკარაა, რომ „ოცნებას“ პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია ნაცების მიერ საზოგადოების ატომიზაციის გამოსწორებისა და საშუალო ფენის განვითარების ხელშეწყობისათვის.

მე-20 საუკუნის გამოჩენილმა მეცნიერმა ერნსტ გელნერმა შეიმუშავა სამოქალაქო საზოგადოების შემდეგი კრიტერიუმი: თუ ქვეყანაში არის სამოქალაქო საზოგადოება, მაშინ ის ადამიანები, რომლებსაც ფულის კეთება უნდათ, მიდიან პირდაპირ ბიზნესში და მთავრობასთან მათი ურთიერთობა გადასახადების გადახდით და სხვა კანონების შესრულებით შემოიფარგლება; ხოლო თუ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება არ არის, მაშინ ისინი, ვისაც ფულის კეთება უნდა, იძულებულნი არიან, წავიდნენ ხელისუფლებაში (პარლამენტში, მთავრობაში, მარეგულირებელ კომისიებში და ა.შ.), ვინაიდან სხვანაირად ფულის კეთება შეუძლებელია. საქართველოს დამოუკიდებლობის ახალი ისტორია ცხადყოფს, რომ საშუალო ფენა (სამოქალაქო საზოგადოება) ჩვენში ძალზე სუსტია. საქართველოს და მთლიანად პოსტსაბჭოური ქვეყნების (ცხადია, ბალტიის ქვეყნების გარდა) მაგალითი ცხადყოფს იმასაც, რომ საშუალო ფენის წარმოქმნა შეუძლებელია შესაბამისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გარეშე; რომ მისი წარმოქმნა „ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში“ პოსტინდუსტრიულ ეპოქაში, როდესაც საშუალო ფენა თვალსა და ხელს შუა „ორთქლდება“ დასავლეთის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ძალზე რთულია. ხოლო **ის აზრი, რომ ადგილობრივი ენჯიოების გამრავლება და დაფინანსება ხელს შეუწყობს და დააჩქარებს საშუალო ფენის წარმოქმნას, ისეთივე მცდარია, როგორც ასეთი ენჯიოების გაიგივება და გასაღება სამოქალაქო საზოგადოებად. საქართველოს მოქალაქეები, განურჩევლად მათი მატერიალური მდგომარეობისა, პრაქტიკულად არასოდეს არ აფინანსებენ ქართულ ენჯიოებს – კომენტარი ზედმეტია.**

## რობერტ კენედი-უმცროსი:

# უფლებას აღარ მივცემთ ფარმაცევტულ და სურსათის ინდუსტრიას, ჯანდაცვის პოლიტიკა წარმართონ!

**თანამდებობის** დაკავებისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე **აშშ-ის ჯანდაცვის ახალმა მინისტრმა რობერტ კენედი-უმცროსმა თეთრ სახლში მკაცრად გააკრიტიკა USAID და განაცხადა, რომ ბიძამისმა, პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ეს ორგანიზაცია წმინდა ჰუმანიტარული მიზნებით შექმნა, თუმცა მას შემდეგ USAID სამხედრო სამრეწველო კომპლექსმა ჩაიგდო ხელში და მთელ მსოფლიოში ტოტალიტარიზმის პროპაგანდისტად აქცია. „ცოტას თუ ესმის, რამდენად დიდ ბოროტებას წარმოადგენს ეს სააგენტო, მაგრამ პრეზიდენტმა ტრამპმა ესთვალნათლივ დაინახა“.**

მოგვიანებით რობერტ კენედი-უმცროსმა **Fox News**-ის ეთერში განაცხადა, რომ ამერიკელები მსოფლიოს ყველაზე დიდი ერია. „ჩვენ ჯანდაცვაზე 2-3-ჯერ მეტ თანხებს ვხარჯავთ, ვიდრე სხვა ქვეყნები, მაგრამ ყველაზე ცუდი მაჩვენებლები გვაქვს. მსოფლიოში ყველაზე დაავადებული მოსახლეობა გვყავს“.

კენედი მიიჩნევს, რომ ამერიკული ჯანდაცვის სისტემას ძირეული რეფორმა სჭირდება: „ჩვენ ტერმინატორი გვჭირდება, რომელიც უფლებას აღარ მისცემს ფარმაცევტულ და სურსათის ინდუსტრიას, ჯანდაცვის პოლიტიკა წარმართონ“.

# ფერადი რევოლუციების ნამდვილი შინაარსი

**„ფერადი რევოლუციების" მთელი კასკადი, რომელიც უცხოური „დემოკრატიზაციის" სახელით უამრავ ქვეყანაში განხორციელდა, დღეს უკვე სრულიად განსხვავებული სახით წარმოგვიდგება. მართალია, არაერთი მკვლევარი წლების განმავლობაში არისხებდა განგაშის ზარებს, მაგრამ ვიდრე აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ არ ამოიღო ხმა, ეს თემა კვლავაც ვარდისფერ საბურველში იყო გახვეული.**

**ამერიკულ გამოცემა The Huffington Post-მა ჯერ კიდევ 2010 წელს გამოაქვეყნა ლეონ ჰადარის წერილი, რომელიც მორიგ „ფერად რევოლუციას" მიეძღვნა და რომელშიც საქართველოსაც უჭირავს გარკვეული ადგილი. ჩვენი მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება ამ სტატიის შეხსენება, რადგან იგი პირუთვნელად ასახავს გარე ჩარევით რეჟიმის ცვლილების მექანიზმებს, რომლის მადაც ჩვენს შიდა და გარე მეგობრებს ჯერაც არ განელებიათ.**

ყირგიზეთის ოპოზიციის მიერ პრეზიდენტის ყურმანბეკ ბაკიევის ძალადობრივი ჩამოგდება ბოლო ნიშანია იმისა, რომ 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებსა და ახლო აღმოსავლეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები, იგივე „ფერადი", ან „ხავერდის რევოლუციები" სულაც არ ყოფილა ის რევოლუციური ისტორიული ტალღა, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო ძველი, კორუმპირებული, ავტორიტარული რეჟიმებისთვის და ლიბერალური დემოკრატიის ახალ განთიადს შეგებებოდა.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ ძირითადად არაძალადობრივი და ახალგაზრდული მოძრაობების ლიდერები, რომლებმაც სიმბოლოდ გარკვეული ფერები (ან ყვავილები) აიღეს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს დაიწყებდნენ და მათი მთავრობები სწორებას დასავლურ ღირებულებებსა და ინტერესებზე გააკეთებდნენ. თუ საბჭოთა კავშირის დაშლა, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ბალტიისპირეთსა და ცენტრალურ აზიაში მისი სატელიტების გათავისუფლება შეიძლებოდა ისე აღწერილიყო, როგორც აშშ-ის თაოსნობით მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში განხორციელებული დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის პირველი აქტი, ფერად რევოლუციებს ვაშინგტონში ისე აღიქვამდნენ, როგორც ამ ისტორიული ეპოქის მეორე მოქმედებას. აქედან მომდინარეობს ამერიკულ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტაში ამ მოვლენათა იდეოლოგიური ტერმინების ჩარჩოში მოქცევის ტენდენცია, ტენდენცია, რომელიც „ცივი ომის" ბინარულ ტერმინოლოგიას გვახსენებს: კარგი ბიჭები ცუდი ბიჭების წინააღმდეგ.

ჩვენ გვითხრეს, რომ ბაკიევი კარგი ბიჭი იყო. ის ხელისუფლებაში 2005 წელს მოვიდა იმ მოვლენების მეშვეობით, რასაც მედია „ტიტების რევოლუციად" (ან ვარდისფერ რევოლუციად) მოიხსენიებდა — სადავო არჩევნების შემდეგ რეჟიმის ოპონენტების მიერ გამართულ საპროტესო გამოსვლები შედეგად, მაგრამ მას მერე ადამიანის უფლებათა დაცვა ბაკიევის რეპრესიული რეჟიმის პირობებში გაუარესდა, ის კი გასულ წელს გაყალბებით დაღდასმული არჩევნებით ხელისუფლებაში მეორე ვადით მოვიდა, მაგრამ ბაკიევმა ყირგიზეთი ამერიკის მოკავშირედ არ აქცია. მისი კლანის მიერ მითვისებული უხვი ფინანსური დახმარების საპასუხოდ მან ქვეყანაში მეზობელი რუსეთის სამხედრო ბაზებიც დატოვა და ამერიკულიც. კარგი ბიჭი აშკარად არც ისე გადასარევი აღმოჩნდა.

**ამბავი „ტიტების რევოლუციისა" და მისი ფინალური სცენები ნაცნობია, რადგან ათწლეულის წინა ორი ფერადი, სახელგანთქმული რევოლუციის ფაბულას წააგავს და, მართლაც, 2005 წლის ყირგიზული რევოლუცია 2003 წლის ქართული „ვარდების რევოლუციისა" და 2004 წლის უკრაინული „ნარინჯისფერი რევოლუციის" მსგავსად წარიმართა. სადავო არჩევნებს სტუდენტების, ინტელექტუალების და სხვა მაგარი ბიჭებისა და გოგოების საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა, რის შედეგადაც გალანძღული ძველი გვარდია დაამხეს და ახალგაზრდა პროდასავლელი ფიგურები აირჩიეს. საქართველოში ექსკომუნისტური ეპოქის ბოსი, ედუარდ შევარდნაძე ენერგიულმა მოდერნიზატორმა მიხეილ სააკაშვილმა შეცვალა — ის ნიუ-იორკში იურისტად იყო ნამუშევარი. უკრაინაში ვიქტორ იანუკოვიჩი, მოსკოვთან მჭიდროდ დაკავშირებული კორუმპირებული აპარატჩიკი ვიქტორ იუშჩენკომ დაამარცხა, ქარიზმატულმა პოლიტიკურმა ლიდერმა, რომელიც აშშ-სთან და ევროპის კავშირთან პარტნიორობას უჭერდა მხარს და რომელსაც ყოფილი მაგნატი და სექსუალური რეფორმატორი, იულია ტიმოშენკოც – მარგარეტ ტეტჩერისა და სნეჟანა ონოპკოს ნაჯვარიც შეუერთდა.**

რაღაც დონეზე ფერადი რევოლუციების ნარატივი იმავე ყაიდის მანიქევლურ კატეგორიებს ირეკლავდა, რომელსაც მსოფლიოს ამა თუ იმ „ცხელ წერტილში" მოხეტიალე ამერიკელი პოპ-სოციოლოგები და ჟურნალისტები იყენებდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ გლობალურ ჯვაროსნებზე, ვინც აშშ-ის საგარეო პოლიტიკას აყალიბებს. ამ ინტერპრეტაციის თანახმად, კარგ ბიჭებს, როგორც წესი, „პროდასავლელებს", „მოდერნიზატორებს", „რეფორმატორებს", „სეკულარულებს" და „დემოკრატიულებს" უწოდებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი პროამერიკელები არიან და მათ, როგორც წესი, ბოროტი ძალა უტევს. ამ ძალას კი ისინი წარმოადგენენ, რომელთა იდენტიფიცირება ზემოჩამოთვლილი ზედსართავი სახელების ანტონიმებით შეიძლება. ეს იყო დიდი ნარატივი იმაზე, თუ როგორ არ ეპუება ამერიკა უცხოელ იდეოლოგიურ მონსტრებს და როგორ უჭერს მხარს „ჩვენნაირ ადამიანებს". ყველაფერი მე-20 საუკუნეში ვილსონიანური ფანტაზიების გავლენით დაიწყო და მეორე მსოფლიო ომისა და ცივი ომის ფონზე წარიმართა.

მაგრამ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და მისმა ნეოკონსერვატორმა იდეოლოგებმა, როდესაც უფრო დიდი სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად, რეგიონში ამერიკის ჰეგემონიის დასამყარებლად და ერაყში შესაჭრელად ახლო აღმოსავლეთში თავისი სამშვიდობო პროექტის ექსპორტირება გადაწყვიტეს, ეს ფანტაზია კოშმარად აქციეს. შესაძლოა, გსმენიათ ასეთ ინტელექტუალურ ტრიუკზე — პარალელს ავლებენ „ისლამოფაშიზმთან" და ნაციზმთან, ევფრატის ნაპირებზე ლიბერალური დემოკრატიის აღზევებას განჭვრეტენ და აჰმედ ჩალაბის ერაყის დე გოლად ასაღებენ. ახლოაღმოსავლელი კარგი ბიჭები ისინი არიან,

ვინც სწორება ამერიკაზე გააკეთა და დემოკრატიასა და ლიბერალიზმს ავრცელებს, ხოლო ცუდი ბიჭები ისინი, ვინც მათ წინააღმდეგობას უწევს, ირანთან, სირიასთან და „ალ-ქაიდასთან" კავშირში იმყოფება და ანტიდასავლელ, რადიკალ, ისლამისტ-ტერორისტებად გვევლინება.

ამიტომ არაა გასაოცარი, რომ **ნეოკონებმა წარმატებით შეძლეს, „ნარინჯისფერ" და „ვარდების რევოლუციასთან" პარალელის გავლებით, ერაყის 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების პოპულარიზება ისე განეხორციელებინათ, თითქოს ეს კიდევ ერთი ფერადი რევოლუცია იყო. „მეწამულ რევოლუციას", რომელსაც სახელი მას მერე დაერქვა, რაც ამომრჩევლებს საჩვენებელ თითზე ამ ფერის ლაქა დაასვეს, რათა თავიდან აეცილებინათ მრავალჯერადი ხმის მიცემა, ისე ასაღებდნენ როგორც მესოპოტამიასა და მთელ ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის მშენებლობის პირველ ეტაპს.**

2005 წელს ლიბანში, ოპოზიციის პროსაუდელი ლიდერის, რაფიკ ჰარირის მკვლელობის შემდეგ, ზომიერი ქრისტიანული და სუნიტი-მუსლიმების პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერმა პროდასავლელმა დემონსტრანტებმა შეძლეს ქვეყნიდან სირიული ჯარის გაძევება. ამ მოვლენებს „კედარის რევოლუცია" მოჰყვა და პრესა მას ისე აშუქებდა, როგორც ბუშის ადმინისტრაციის იდეის გამართლებას და კარგი ბიჭების მოსვლას ახლო აღმოსავლეთში.

ეს დიდებული სიუჟეტი იყო. ცუდი ის იყო, რომ მას არაფერი აკავშირებდა რეალობასთან. ამერიკულმა სამხედრო ავანტიურებმა ვერ შვა დემოკრატიული რევოლუციები და ახლო აღმოსავლეთში ვერ გაავრცელა ამერიკული ტიპის თავისუფლება. ამის ნაცვლად მან გზა გაუხსნა ნაციონალიზმის ისეთ დესტრუქციულ ფორმებს, რომლებიც ბევრი სხვადასხვა ფორმით გამომჟღავნდა: რელიგიური იდენტობა და ეთნიკური პარტიკულარიზმი, ისევე როგორც ადგილობრივი ტომობრივი და ოჯახური მტრობა და ყველაფერი ეს გადაჯაჭვული იყო შესაბამის დაპირისპირებებთან რეგიონში. მთავარი გამარჯვებულები კი ერაყსა და ლიბანში პროირანელი შიიტები, „ჰეზბოლა" და „ჰამასი" აღმოჩნდნენ.

**კომუნიზმის დაცემის შემდეგ, ყოფილ საბჭოთა ბლოკში აშშ-ის მიერ დაწყებული დემოკრატიზაციის კამპანია და ფერადი რევოლუციების წახალისება უკრაინაში, საქართველოში, ერაყსა და ლიბანში იმ ვარაუდს ეფუძნებოდა, რომ ამ ქვეყნებისა და სოციუმების მოსახლეობის ცალკეული წარმომადგენლებისა და ჯგუფების სურვილი გაეძევებინათ მმართველი ელიტა, მხოლოდ დემოკრატიის უნივერსალური იდეალებითა და დასავლეთში ინტეგრაციისადმი ლტოლვით იყო მოტივირებული, მაგრამ ამ ნარატივმა ყურად არ იღო უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ამ რევოლუციებს იმპულსი ძლევამოსილმა ნაციონალისტურმა, ეთნიკურმა და რელიგიურმა ძალებმა შესძინეს, ისეთმა განწყობებმა, როგორიც იყო ანტირუსული გრძნობები საქართველოში, ან უკრაინული უმრავლესობის ინტერესები უკრაინაში.** არ არის გასაოცარი, რომ რუსულენოვანი უმცირესობა უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციის" წინააღმდეგ იყო განწყობილი. ასევე „კედარის რევოლუცია" ლიბანში ქრისტიანებისა და სუნიტი მუსლიმების მიერ ირანის მომხრე შიიტების წინააღმდეგ იყო წამოწყებული, ხოლო სადამის დამხობის შემდეგ ერაყში განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებები არაბ შიიტებსა და ქურთებს აძლიერებდა, ხოლო წარსულში სუნიტების მიერ კონტროლირებად ელიტას ასუსტებდა. სიტუაციას, რომელსაც ბევრი ამერიკელი დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის ლინეარულ პროცესად განიხილავდა, კიდევ უფრო მეტად ართულებდა შიდა ელიტური დაპირისპირება ძალაუფლებისა და ფულის გამო.

**ამიტომაც აღმოჩნდა, რომ „ჩვენი" კარგი ბიჭები — მიხეილ სააკაშვილი საქართველოში, ვიქტორ იუშჩენკო და იულია ტიმოშენკო უკრაინაში, ყურბანბეკ ბაკიევი ყირგიზეთში ან აჰმედ ჩალაბი ერაყში ისეთივე ძალაუფლების მოყვარე და ისეთივე ხარბები აღმოჩნდნენ, როგორც მათი წინამორბედები, ძალაუფლების შესანარჩუნებლად არაფრად აგდებდნენ დემოკრატიულ პრინციპებს, მიმართავდნენ ულტრანაციონალიზმსა და შოვინიზმს, ხოლო ამერიკის დიპლომატიურ და ფინანსურ მხარდაჭერას იმისთვის იყენებდნენ, რომ შეეკავებინათ შიდა და გარე საფრთხე და მოეპოვებინათ ფინანსური დახმარება და როდესაც „პროამერიკელობა" ნაკლებად სარფიანი ხდებოდა, ისინი ცდილობდნენ, ისევ რუსეთს ან ირანს დაკავშირებოდნენ. რასაც ისე წარმოადგენდნენ, როგორც იდეოლოგიურ რომანს ამერიკასთან, შემთხვევითი იდეოლოგიური კონტაქტი აღმოჩნდა.**

„თავიდან იყო საქართველო, მერე უკრაინა, ამას ლიბანი მოჰყვა, ახლა კი ყირგიზეთი. დაამატეთ ყველაფერს ერაყის არჩევნები და ჩვენ სხვა გზა არ გვრჩება გარდა იმისა, რომ ვაღიაროთ — ჯორჯ ბუშის მოწოდებამ პოლიტიკური თავისუფლების გავრცელების შესახებ ყველგან მოიგო დემოკრატიის ენთუზიასტების გულები, ყველგან, მათ შორის ყირგიზეთში" — ვწერდი 2005 წლის „ტიტების

რევოლუციის" დასრულებისთანავე. მედიაში დომინირებადმა „დემოკრატიის ნარატივმა" ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ „კარგი ბიჭები" იმარჯვებდნენ, მაგრამ რაღა თქმა უნდა, ეს ასე არ მოხდა და აი, ყირგიზეთში ახალი პოლიტიკური კონვულსია დაიწყო და წამყვანი ექსპერტები კვლავ მოუწოდებენ და ითხოვენ ამერიკის ჩართვას პროცესებში „დემოკრატთა"დასახმარებლად. **თუ ერთხელ გამაცურებთ — ეს თქვენი სირცხვილია, თუ ორჯერ, შერცხვენილი უკვე მე ვარ.**

**ლეონ ჰადარი**

საქართველოს რესპუბლიკა
№22-23. ორშაბათი, 17 თებერვალი, 2025 წელი

## „ტორნადო“ ამერიკიდან

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ინტერვიუ მისცა ტელეარხ „სიბიეს ნიუსს“ (CBS news) თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში. ინტერვიუს ვიდეოჩანაწერი გამოქვეყნებულია ტელეარხის ვებ-გვერდზე სათაურით „ტრამპი ოვალურ კაბინეტში კითხვებზე პასუხობს...“.**

**გთავაზობთ ინტერვიუს შემოკლებით:**

CBS NEWS

# ტრამპი ოვალურ კაბინეტში კითხვებზე პასუხობს...

**დონალდ ტრამპი:** ჩვენ (მე და ვლადიმერ პუტინი) ერთმანეთს, სავარაუდოდ, საუდის არაბეთში შევხვდებით. ეს იქნება ჩვენი პირველი შეხვედრა. შევხედავთ და მოვიფიქრებთ, რის გაკეთება შეგვიძლია. ჩვენ ორივეს გვსურს ამ საშინელი ომის დასრულება. ეს ომი კატასტროფაა. მე მსგავსი რამ არასოდეს მინახავს. ქალაქები და დასახლებული პუნქტები მიწასთანაა გასწორებული. უბრალოდ, დიდი სირცხვილია, რაც ამ ქვეყანას მოუვიდა. მე რომ პრეზიდენტი ვყოფილიყავი, ომი არ მოხდებოდა...

**– თქვენი შეხვედრის თარიღი უკვე ცნობილია?**

– კონკრეტული თარიღი ჯერ არ დაგვითქვამს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შეხვედრა არცთუ შორეულ მომავალში გაიმართება. ჩვენ ორივე კარგად ვიცნობთ საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცს და ამიტომ, ვფიქრობ, შეხვედრის ადგილად სწორად შევარჩიეთ.

**– ესე იგი, გამოდის, რომ ეს იქნება შეხვედრა მხოლოდ თქვენსა და ვლადიმერ პუტინს შორის და ალბათ, მემკვიდრე პრინცის შესაძლო მონაწილეობითაც, მაგრამ ვოლოდიმირ ზელენსკის გარეშე?**

– დიახ, სავარაუდოდ ასე იქნება. პირველ შეხვედრას ჯერ ამ ფორმატით გავმართავთ, შემდეგ შევხედავთ და განვსაზღვრავთ, როგორი იქნება მეორე შეხვედრა.

**– თქვენ მკაფიო გეგმა გაქვთ უკრაინაში კონფლიქტის დასრულებაზე?**

– მე ჩემი გეგმის დეტალებს ჯერ არ გაგიმხელთ. შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ ჩვენ ამ მხრივ დიდ პროგრესს მივაღწიეთ. საერთოდ, ეს მე კი არა, ჯო ბაიდენს უნდა გაეკეთებინა – არ შეიძლებოდა ამ საშინელი ომის სამი წლის განმავლობაში გაგრძელება. ვიმეორებ, ეს ჯო ბაიდენს უნდა გაეკეთებინა, ისევე როგორც ჩვენი ახალგაზრდა ჯენტლმენის (მარკ ფოგელის) სახლში დაბრუნება რუსეთის ციხიდან, რაც მე გავაკეთე ჯო ბაიდენს თითი არ გაუნძრევია მის გასათავისუფლებლად, მე კი გამოვიხსენი. როგორც იცით, არც ფული არ გადამიხდია. უბრალოდ, (ვლადიმერ პუტინს) ვესაუბრე, შევთანხმდით და ორ კვირაში ყველაფერი წარმატებით დასრულდა. მოკლედ, კარგად ვიმუშავეთ.

**– რას ფიქრობთ უკრაინის ნატოში წევრად მიღებაზე?**

– მე პირადად ვთვლი, რომ ეს არაპრაქტიკული იქნება. მე ვიცი, რომ ჩვენმა თავდაცვის ახალმა მინისტრმა პიტმა (ჰეგსეთმა), რომელიც, სხვათა შორის, უბრალოდ, შესანიშნავი, ჩინებული ადამიანია, ბრიუსელში ყოფნისას განაცხადა, რომ უკრაინის ნატოში მიღება „ნაკლებადსავარაუდო“ და „არაპრაქტიკულია“. მეც მიმაჩნია, რომ მისი პოზიცია სწორია. ჯერ კიდევ ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობამდე რუსები მუდმივად ამბობდნენ, რომ უკრაინის ნატოს წევრად მიღება არ შეიძლება. მე ზუსტად არ ვიცი, სინამდვილეში ასეა თუ არა, მაგრამ როგორც ჩანს, რუსების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ეს არ უნდა მოხდეს.

**– მხარს უჭერთ თუ არა ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ ტერიტორიების დათმობას (ან გაცვლას) ომის შეწყვეტის შეთანხმების ჩარჩოებში?**

– როგორც ჩანს, მას მოუწევს იმის გაკეთება, რაც უნდა გააკეთოს. იცით, მისი რეიტინგი, რბილად რომ ვთქვათ, მაინცდამაინც მაღალი არ არის. იგი იმ ქვეყნის ხელმძღვანელია, რომელიც ომისაგან გაპარტახებულია. მას ჰყავს არმია, რომელიც მართლაც ძალიან გმირულად იბრძვის, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც 350 მილიარდი დოლარი მივეცით. აი, ასეთია რეალური ციფრი. ევროპამ კი სადღაც 100 მილიარდი მისცა, თანაც მგონი კრედიტების სახით. ახლა უკრაინაში ჩემი ფინანსთა მინისტრი იმყოფება, ძალიან გაბედული ადამიანი, რომელიც კიევში მატარებლით მიემგზავრება, რომელსაც კაცმა არ იცის, რა მოუვა ამ ომის დროს. მან იქ დოკუმენტი უნდა მიიღოს, რომელიც ჩვენ იმის გარანტიას მოგვცემს, რომ როგორმე ამ ფულის ნაწილი მაინც უკან რაღაცნაირად დავიბრუნოთ. იმიტომ, რომ ამერიკამ ამ ომში უფრო მეტი ფული დახარჯა, ვიდრე ევროპამ. ევროპას უფრო მეტი იმიტომ უნდა დაეხარჯა, რომ ის უფრო მეტ საფრთხეშია. ჩვენ უკრაინისაგან ოკეანე გვაშორებს, მაგრამ ევროკავშირი და უკრაინა ერთმანეთს ესაზღვრებიან და მათ არაფერი არ აშორებთ. მოკლედ, ევროპა უკრაინას რასაც აძლევს, კრედიტის სახით აძლევს. შეერთებული შტატები ჯო ბაიდენის დროს კრედიტებს კი არ აძლევდა, არამედ ფულს პირდაპირ ურიგებდა. ყოველთვის, როცა აქ ვინმე ჩამოდიოდა უკრაინიდან, ფულს, უბრალოდ, ჩუქნიდნენ. რა სისულელეა! ეს არასოდეს არ უნდა მომხდარიყო. ამიტომაც ჩვენ გარანტიები გვინდა. გავუწევთ სამხედრო დახმარებას, მაგრამ სამაგიეროდ უკრაინიდან მივიღებთ სასარგებლო წიაღისეულს... უკრაინელები ამაზე დათანხმდნენ.

**– რამდენად სწრაფად აპირებთ განათლების სამინისტროს დახურვას?**

– მე მინდა, რომ ის დაუყონებლივ დაიხუროს. იცით, განათლების სამინისტროში ბევრი უხეში დარღვევა ხდება. ჩვენ ვნახეთ მსოფლიოში 40 საუკეთესო ქვეყნის სია და მასში ჩვენ მე-40 ადგილზე აღმოვჩნდით. არადა, ამერიკა პირველ ადგილზეა მსოფლიოში ერთ მოსწავლეზე დახარჯული თანხების მიხედვით. ანუ გამოდის, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტ ფულს ვხარჯავთ განათლებაზე და მაინც მე-40 ადგილზე ვართ. (...) ძალიან არასასიამოვნოა ჩემთვის იმის თქმა, რომ ჩინეთი ხუთეულში შედის – ქვეყანა, რომელიც ჩვენს მეტოქეს წარმოადგენს. რას ნიშნავს მე-40 ადგილი? იმას, რომ რაღაც წესრიგში არ არის.

ჩვენს განათლების სამინისტროში ძირითადად ვაშინგტონელები მუშაობენ, რომლებთაც საერთოდ არ ადარდებთ ბავშვების სწავლების დონე სასოფლო რეგიონებში. მათ არ ადარდებთ ფერმერების ბიჭებისა და გოგონების განათლების დონე, ფული კი უამრავი იხარჯება. აქ კი, ვაშინგტონში, უდიდესი ბიუროკრატია არსებობს – საითაც გაიხედავ, ყველგან განათლების სამინისტროს შენობებია. და როგორც ვიცი, სამსახურშიც არავინ არ დადის. მიეჩვივნენ უსაქმურობას. მითხრეს, რომ ყველა სახლიდან მუშაობსო, ბევრს მეორე სამსახურიც აქვს. კიდევ ერთი მომენტი, რაზედაც ილონ მასკი ყურადღებას აპყრობს: რამდენი ადამიანი იღებს ტყუილად ხელფასს, თითქოსდა სახლიდან რომ მუშაობს, სინამდვილეში კი არაფერს აკეთებს? რამდენს აქვს მეორე და მესამე სამუშაო? ვიცი, რომ ასეთი ძალიან ბევრი ადამიანია. ისინი დაუყონებლივ გათავისუფლდებიან განათლების სამინისტროდან. ამიტომაც არის შესამცირებელი ჩვენი მთავრობა.

**წყარო: https://www.cbsnews.com/video/trump_takes_questions_russia_ukraine_peace_talks_oval_office/?intcid=CNM_00_10abd1h**

# ტრამპი და პუტინი შეეცდებიან, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას 20 აპრილამდე ან 9 მაისამდე მიაღწიონ!

**აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და რუსეთის ლიდერი ვლადიმერ პუტინი, სავარაუდოდ, შეეცდებიან, რომ რუსეთ-უკრაინის ომში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას 20 აპრილამდე ან 9 მაისამდე მიაღწიონ. როგორც Ukrinform-ი წერს, ამის შესახებ Financial Times-ი იუწყება.**

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 20 აპრილს, როგორც მართლმადიდებლური, ასევე კათოლიკური ეკლესია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს.

კიდევ ერთი სავარაუდო თარიღი 9 მაისია, როდესაც რუსეთი მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ს ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს აღნიშნავს.

„პუტინს სურდა შეთანხმება ასეთ სიმბოლურ დღეს“, – აცხადებს უკრაინელი ოფიციალური პირი.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 12 თებერვალს ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბარი გამართა, რომლის დროსაც მათ უკრაინაზე ისაუბრეს.

ტრამპი ასევე, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, ესაუბრა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის და განიხილა პოტენციური სამშვიდობო ძალისხმევის, თანამშრომლობისა და ტექნოლოგიური თანამშრომლობის საკითხები.

სატელეფონო ზარების შემდეგ, ტრამპმა მხარეებთან გამართულ საუბრებს „ძალიან კარგი და პოზიტიური“ უწოდა. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია რუსეთსა და უკრაინას შორის ომი დასრულდეს.

# 200 000 დოლარი... სიკვდილის (თუ სიცოცხლის?!) მოსატყუებლად!

## ადამიანის გაყინვა გაცოცხლების მიზნით – რას გულისხმობს კრიონიკის პროცედურა, რომლის ჩასატარებლად 700-ზე მეტი ადამიანია რეგისტრირებული

„არის ეს 200 000-დოლარიანი ბილეთი სიკვდილის მოსატყუებლად?“ – ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას **BBC**-ი, სადაც გერმანული სტარტაპის **Tomorrow.Bio**-ს თანადამფუძნებელი ადამიანის გაყინვის და შემდეგ მათი გაცოცხლების პროცედურაზე საუბრობს.

**Tomorrow.Bio**-ს კრიონიკის ლაბორატორიის თანადამფუძნებელი, ემილ კენდზიორა ამბობს, რომ მათი ლაბორატორიის მისიაა პაციენტების გაყინვა და სიკვდილის შემდეგ გაცოცხლება.

კენდზიორა აღნიშნავს, რომ ამ პროცესის მიზანი მხოლოდ პაციენტების გაყინვა არ არის, არამედ მათი მომავალი გაცოცხლება იმ ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც მომავალში შეიძლება უფრო განვითარებული იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ კრიონიკის პროცესი ჯერ არ არის მტკიცედ დადასტურებული, ის თვლის, რომ სამედიცინო ტექნოლოგიები მომავალში საკმარისად განვითარდება იმისთვის, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე შესაძლებელია აღდგეს. ამავდროულად, ის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ამ ტექნოლოგიაში ინვესტირება არის მაღალი რისკის მქონე.

კრიონიკის პროცედურის ღირებულება 200 000 დოლარს შეადგენს.

ამჟამად მათ გაყინეს (ან კრიოპრესერვაციის პროცესში გადაიყვანეს) „სამი ან ოთხი“ ადამიანი და ხუთი შინაური ცხოველი, ხოლო პროცედურისთვის კიდევ 700-ზე მეტია ადამიანია რეგისტრირებული. 2025 წელს კომპანია გეგმავს საქმიანობის გაფართოებას მთელ აშშ-ს ტერიტორიაზე.

როდესაც პაციენტი პროცედურისთვის დარეგისტრირდება და ექიმი დაადასტურებს, რომ მას სიცოცხლის ბოლო დღეები აქვს დარჩენილი, კომპანია გზავნის სასწრაფო დახმარების მანქანას მის მისამართზე. მას შემდეგ რაც პაციენტი ოფიციალურად მკვდრად გამოცხადდება, იგი გადაჰყავთ **Tomorrow.Bio**-ს სასწრაფო დახმარების მანქანაში, სადაც იწყება კრიონიკის პროცედურა.

**„ყველაფერს, რაც შეიძლება გაიყინოს სხეულში, ვცვლით კრიოპროტექტიული ნივთიერებით. ეს არის ხსნარი, რომლის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ დიმეთილის სულფოქსიდი (DMSO) და ეთილენ გლიკოლი “**, – ამბობენ კომპანიაში.



კრიოპრესერვაციის შემდეგ მკვდარი ადამიანის გაცოცხლების წარმატებული შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა. გარდა ამისა, არც კი არსებობს კვლევები ცხოველებზე, რომლებიც აჩვენებდნენ კრიოპრესერვაციის პოტენციალს.

კენდზიორა ამბობს, რომ ყველა ახალი სამედიცინო პროცედურა პირველ ეტაპზე საეჭვოდ აღიქმება, სანამ იგი არ გახდება ფართოდ გავრცელებული.

**„აიღო გული და სხვა ადამიანს გადასცე თავდაპირველად უცნაურად ჟღერდა, მაგრამ ამას ჩვენ უკვე ყოველდღიურად ვაკეთებთ“**, – ამბობს კენდზიორა ორგანოთა ტრანსპლანტაციის შესახებ.

ის ფიქრობს, რომ კრიონიკაც შეიძლება ერთ დღეს სწორედ ასეთ სიახლეს შორის აღმოჩნდეს.

# „მთავარი არხზე“ ყველა ტყუილი შეჩერებულია!!!

**„მთავარი არხზე“** ყველა გადაცემა გაჩერებულია. ტელეკომპანიის ეთერში გადაცემა არ გადის, არხის სიგნალი მხოლოდ „მთავარი არხის“ განცხადებას გადმოსცემს.

არხის ინფორმაციაში ნათქვამია, რომ „თანადამფუძნებლის, ზაზა ოქუაშვილის მიერ ხელოვნურად შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო „შენი დილა“ ვერ გადის ეთერში“.

„ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ გამოვნახოთ სახსრები ეთერის აღსადგენად“, – წერია „მთავარი არხის“ სატელევიზიო ეთერზე.

„მთავარ არხზე“ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით არხის თანადამფუძნებელმა ზაზა ოქუაშვილმა გასული წლის 12 დეკემბერს განცხადება გაავრცელა, რომელშიც ამბობდა: „გვარამიასა და გაბუნიას საქმიანობა არის მაგალითი, როგორ შეიძლება ამოეფარო მედიას და ძარცვო ტელეკომპანია მიმდინარე ვითარების ხარჯზე, გამოიყენო ტელევიზია საერთაშორისო მასშტაბით მილიონობით დოლარის გათეთრების მანქანად“.

ოქუაშვილმა 20 დეკემბერს კიდევ ერთი განცხადება გამოაქვეყნა, სადაც აცხადებდა, რომ „გვარამიამ და გაბუნიამ, საკუთარი დანაშაულების გადასაფარად ქვეყნისთვის მწვავე პერიოდი აირჩიეს“.

# „პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ნატო ჩხეიძე ივანიშვილს და გვარამიას ამხელს“

**„მთავარ არხს** გვარამია აჩერებს შიგადაშიგ, რა დროს როგორ ჩათვლის საჭიროდ.

რა შუაშია გვარამია?

ეგ ხომ პოლიტიკოსია.

პარტიის თანათავმჯდომარე.

პოლიტიკოსის რა საქმეა მთავარი არხის საწვავის გადარიცხვების საქმის კურსში ყოფნა და ამით ვიშვიში.

არადა, არის!..

თუ მთავარი არ ექნება გვარამიას, ვის რაში უნდა მაგის პოლიტიკოსობა?

მით უფრო ივანიშვილი რაღაში დაისაჭიროვებს?

აქამდე ეხმარებოდა ივანიშვილი გვარამიას:

ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის ვალს არ სთხოვს, საგადასახადო სამსახური არ ამოწმებს, საბაჟო, ეროვნული ბანკი და პროკურატურა თვალს ხუჭავს დარღვევებსა და დანაშაულებებზე. საქართველოს ბანკს სასათბურე პირობებში ყავს.

მეტი რაღა ქნას ივანიშვილმა გვარამიასთვის?

რითღა დაეხმაროს?

ამ გვარამიამ კი ჩაუფლავა ამდენი

ნაღვაწი.

თავი გადმოიფარჩაკა.

ახალს გავხსნიო, რომ იძახის, სინამდვილეში ივანიშვილს აგონებს, – ცოტა მაცალე, ცოტა კიდევ მაცალე, დამახმარე შენი საქართველოს ბანკი და ძმები გილაურები და ისევ გაგიჩენ ოპოარხს, დემოკრატიის საჩვენებლად და ორთქლის გამოსაშვებად.

ცოტა კიდევ მაცალე, კაცი არა ხარო, – ამას ეაჯება ახლა გვარამია ივანიშვილს.

ვნახოთ, ვინ ვის რას აცლის და როგორ...“

**15 თებერვალი, 2025 წ.**

**ნიუ-იორკის მოდის კვირეულის ფარგლებში Elena Velez-ის ბრენდის ჩვენება 34 წლის ანა დელვიმ (სოროკინა) გახსნა. ქალი პოდიუმზე ბეწვით გაფორმებული მწვანე ტყავის კოსტიუმით გავიდა. თუმცა, ყველას ყურადღება ელექტრონულმა სამაჯურმა მიიპყრო, რომელიც მას ფეხზე ეკეთა. ანა დელვი შინაპატიმრობაში იმყოფება და ის თაღლითობასა და დიდი თანხის მითვისებაშია ბრალდებული.**

# ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე... ფეხზე ელექტროსამაჯურით

## ანა დელვიმ კვლავ აალაპარაკა საზოგადოება

რამდენიმე დღით ადრე კი ანა დელვი **Christian Cowan**-ის შოუზე იყო მიწვეული. პირველ რიგებში მის გვერდით სუპერმოდელი კოკო როშა იჯდა.

ანა დელვი მოსკოვში დაიბადა, 2013 წელს კი საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა. ის ნიუ-იორკში საკუთარ თავს მდიდარ გერმანელად ასაღებდა. 2019 წელს ქალს ბრალი თაღლითობაში, გადასახადების გადაუხდელობაში, ბანკებიდან, რესტორნებიდან, კერძო პირებიდან 200 ათასი დოლარის მითვისებაში დასდეს და დააპატიმრეს.

დელვის დანაშაული 4-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა. თუმცა 2021 წლის დასაწყისში კარგი ყოფა-ქცევისთვის გაათავისუფლეს. 2022 წლის ოქტომბრიდან ანა შინაპატიმრობას მანჰეტენის საკუთარ ბინაში იხდის.

გასულ ზაფხულს, მისი დაკავების პირობები შემსუბუქდა: დელვის ახლა ნიუ-იორკში და მის შემოგარენში, სახლიდან 120 კილომეტრის რადიუსში გადაადგილება შეუძლია. თუმცა, ფეხზე ელექტრონული სამაჯური მუდმივად უნდა ეკეთოს.

ანას ამბავზე **Netflix**-მა სერიალი „**Inventing Anna**“ გადაიღო. სერიალი „ემის“ ჯილდოს სამ ნომინაციაზე იყო წარდგენილი. ჰონორარი, 300 ათასი დოლარის ოდენობით, რომელიც ანას გადაუხადეს, მისგან დაზარალებულებს გადაუნაწილეს.

სინამდვილეში ანას მამა სატვირთო მანქანის მძღოლად მუშაობდა, დედა კი სასურსათო მაღაზიის ადმინისტრატორი იყო. ქალი კი მდიდარი ოჯახის მემკვიდრედ ასაღებდა თავს, ამბობდა, რომ საკუთარი ფონდი ჰქონდა და ადამიანებს მოტყუებით დიდ თანხას სძალავდა. 2010-იან წლებში კი თავს მხატვრად ასაღებდა და საკუთარ ნამუშევრებს დიდ თანხად ყიდდა.

როგორც აღვნიშნეთ, ანას დანაშაული 4-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მაგრამ კარგი საქციელის გამო 2021 წლის დასაწყისში გაათავისუფლეს. ექვსი კვირის შემდეგ, იგი ვიზასთან დაკავშირებული პრობლემის გამო კვლავ დააპატიმრეს. ოქტომბრიდან სოროკინა მანჰეტენში შინაპატიმრობაში ცხოვრობს. თუმცა ეს არ უშლის ხელს, სხვადასხვა შოუში მიიღოს მონაწილეობა. ცოტა ხნის წინ ვარსკვლავების ცეკვებშიც მონაწილეობდა.

სასამართლოს ბრძანებით, სოროკინას სოციალური მედიის გამოყენება ეკრძალება. თუმცა, გადაწყვიტა, თავისი პლატფორმა შექმნას და საკუთარი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია სხვებსაც გაუზიარონ.

# თბილისის კონსერვატორიის რექტორი გიორგი ვაჩნაძე იაპონიაში ვიზიტით იმყოფებოდა

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი გიორგი ვაჩნაძე ტოკიოსა და ოსაკის მუსიკალური კოლეჯების ხელმძღვანელებს შეხვდა.**

ტოკიოს მუსიკალური კოლეჯის პრეზიდენტთან, ცნობილ კომპოზიტორ იჩირო ნოდაირასთან შეხვედრაზე სტუდენტთა გაცვლითი პროექტების შესახებ იმსჯელეს.

თბილისის კონსერვატორიის რექტორმა ადგილზე სტუდენტებისთვის მასტერკლასები გამართა.

# ავარიას ახალგაზრდა ქალი ემსხვერპლა!

შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა ქალი დაიღუპა, ხოლო ორი დაშავდა. დაშავებულები კლინიკაში გადაიყვანეს. როგორც ცნობილია, ჯავახიშვილის ქუჩაზე ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა, დაღუპული ერთ-ერთ ავტომობილში იჯდა. სამართალდამცველებმა 1 პირი დააკავეს.

# რა მოხდა ნიუ დელის სადგურზე, სადაც 18 ადამიანი დაიღუპა?!

ნიუ დელის სარკინიგზო სადგურში ხალხმრავლობის გამო, სულ მცირე, 18 ადამიანი დაიღუპა. მგზავრები რელიგიურ შეკრებაზე მიმავალ მატარებლებში ასვლას ცდილობდნენ. ამის შესახებ მედია პოლიციაზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას.

დაღუპულთა შორის ცხრა ქალი და ხუთი ბავშვია. ნიუ დელის პოლიციის ცნობით, ორმა სამგზავრო მატარებელმა დააგვიანა და მგზავრების დიდმა რაოდენობამ გადატვირთულობა გამოიწვია.

„ვითარება 10-15 წუთის განმავლობაში კონტროლს არ ექვემდებარებოდა“, – აცხადებს პოლიციის წარმომადგენელი.

# ზოგჯერ უთქმელობითაც...

**15 წლის ინგა გურგენიძის ტრიუმფს სრულიად საქართველოს უნდა გაეხარებინა, მაგრამ ერთმა ფაქტმა საფუძვლიანი ეჭვი გაგვიჩინა – იქნებ ზოგს ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ისტორიულმა ოქრომ ასევე ისტორიული ქვენა გრძნობები გაუღვივა და გულში ეკლად ჩაესო?**

დიახ, როგორც მწარე წარსული, ისე არანაკლებ სუსხიანი აწმყო არცთუ ისე უარგუმენტოდ გვაფიქრებინებს, რომ თანამემამულის უპრეცედენტო წარმატებამ მავანთ გონება დაუბინდა და, არც მეტი, არც ნაკლები, აღნიშნული საამაყო მოვლენის ბოიკოტირებისაკენ უბიძგა.

მოკლედ, საუბარია 13 თებერვლის საღამოს მთავარი არხის 9-საათიანი საინფორმაციო გამოშვების სპორტულ სიახლეებზე, სადაც კრინტიც არ დაძრულა ბათუმის ახალ ყინულის სასახლეში მომხდარ სასწაულზე მაშინ, როცა მანამდე ცოტახნით ადრე ამავე სანატრელ თემას აჭარიდან ჩართვით ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა ეროვნული ტელესივრცის უკონკურენტო რეიტინგ – ლიდერმა იმედმა.

ჰოდა, ეტყობა, სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული, რადგან როგორც ნორჩმა გმირმა, ისე მისმა მწვრთნელმა ჩვენს კოლეგასთან კომენტარი რუსულად გააკეთეს, ფსევდოდასავლურ ღირებულებათა მეხოტბე მედიასაშუალება კი ოკუპანტის ენაზე მოსაუბრეებს ძვირფას დროს როგორ დაუთმობდა?

თანამედროვე ფაშისტთა ლოგიკით, დაგვეთანხმებით, სამშობლოდან მოკვეთილი კარგახნის წინათ უნდა იყოს, მაგალითად, ასევე ჩრდილოეთში დაბადებულ-გაზრდილ-დაოსტატებული ფეხბურთის ლეგენდა სლავა მეტრეველი.

ვიმეორებთ, ეს მხოლოდ ვარაუდია, რომელსაც, ნაცკლასტერის რუპორის ფაქტორის გათვალისწინებით, ოპონენტთა სიტყვით მკვლელობაში ტოლს რომ არავის უდებს, არსებობის უფლება ნამდვილად აქვს.

ღმერთმა ინებოს, ვცდებოდეთ.

# ყველასთან შემართებით

**„პარი სენ-ჟერმენის“** მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ენრიკემ** „ტულუზთან“ გამარჯვების (1:0) შემდეგ ჟურნალისტებთან ისაუბრა.

როგორც მან თქვა, მისი გუნდი ყოველთვის ერთნაირი სულისკვეთებით თამაშობს განურჩევლად იმისა, თუ რომელი ფეხბურთელები არიან მოედანზე:

**„ყველაფერი ჩვეულებისამებრ გავაკეთეთ. გუნდი ყოველთვის ერთსა და იმავე ზრახვებს ავლენს, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ ფეხბურთელს აცვია პსჟ-ს მაისური. ამით ძალიან ვამაყობ, ვაჩვენებთ, რომ კონკურენტუნარიანი გუნდი ვართ, მხოლოდ გამარჯვებას აქვს მნიშვნელობა.**

**ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. ჩვენ გვსურს კონკურენტუნარიანი ვიყოთ ყველა თამაშში, თამაშის ყოველ მომენტში. მინდა მივულოცო ჩემს გუნდს. ვფიქრობ, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა იმაზე, რასაც კარგად ვაკეთებთ, გავაგრძელოთ გაუმჯობესება და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ გავაგრძელოთ ეს ლამაზი პერიოდი, რომელშიც ვიმყოფებით.**

**ჩემთვის მიზანი არ არის ლიგა 1-ის წაუგებლად დასრულება. მიზანი ჩემპიონატის მოგებაა. ამ მომენტში ჩვენ მხოლოდ ეს გვაქვს მხედველობაში და თუ ამას მივაღწევთ, შესანიშნავი იქნება.**

**არ მგონია, რომ ჩემი სათამაშო პრინციპების ათვისება განსაკუთრებით რთული იყოს. ჩემთვის მთავარია, დავინახო როგორ ტკბებიან ჩემი ფეხბურთელები ვარჯიშით ან მატჩებით და სიამოვნებას იღებენ მთელი კვირის განმავლობაში. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ იღებენ თამაშით სიამოვნებას ჩემი ფეხბურთელები და გულშემატკივრები ჩვენი თამაშის ყურებით“,** – თქვა ლუის ენრიკემ.

„პარი სენ-ჟერმენი“ ლიგა 1-ში 22 ტურის შემდეგ 56 ქულით ლიდერია და უახლოეს მდევარ „მარსელს“ 10 ქულით უსწრებს, ხოლო მომდევნო ტურში 23 თებერვალს „ლიონს“ სტუმრად დაუპირისპირდება, ასე რომ გველოდება გიორგი მიქაუტაძის და ხვიჩა კვარაცხელიას გრძოლა. თუმცა, მანამდე, 19 თებერვალს, პსჟ ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის საპასუხო შეხვედრაში „ბრესტს“ უმასპინძლებს.

# კასპელები – უდანაკარგოდ

**„ა“ ლიგის პირველი წრის ბოლო, მე-5 ტური კასპში დაიწყო. ეს გახლდათ მიმდინარე გათამაშების მთავარი მატჩი, რადგან ერთმანეთს დაუმარცხებელი გუნდები – „გრიფინი“ და „რუსთავი 1991“ შეხვდნენ. ქვემო და შიდა ქართლის ამ გუნდებმა დაუმარცხებლად განვლეს აქამდელი 4 ტური და წრის ბოლოს ერთმანეთს შეერკინნენ.**

აქამდე არაერთხელ დავწერეთ და ახლა 2 სიტყვით ვიტყვით: „რუსთავი“ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი და წარმატებული გუნდია, რომელიც გასულ სეზონში სუპერლიგაში წაფორხილდა და „ა“ ლიგაში დაქვეითდა. კასპის „გრიფინი“ კი გასულ შემოდგომაზე შეიქმნა, საკვალიფიკაციო მოიგო და „ა“ ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. სწორედ კასპელები გახდნენ ცენტრალური მატჩის შემდეგ სუპერლიგაში გადასვლის უმთავრესი კანდიდატები. რა როგორ იქნება საბოლოოდ, ვერავინ იტყვის, თუმცა მათემატიკურად და შედეგების გათვალისწინებით, „გრიფინს“ ყველა დანარჩენ გუნდზე უკეთესო შანსი აქვს.

ალბათ იოლი მისახვედრია, რომ **გიორგი სიმონიშვილის** გაწვრთნილმა გრიფინმა რუსთავს მოუგო. დიახ, კასპის სავსე არენაზე ადგილობრივმა გუნდმა მორიგი მეტოქე დაამარცხა. გრიფინმა უმთავრეს კონკურენტ რუსთავს 104:93 მოუგო. ყველაფერი ბოლო პერიოდში გადაწყდა, რომელიც მასპინძლებმა 40:25 მოიგეს და ეს **მონტეს მატისის** დიდი დამსახურებაა. მატისმა ბოლო ათწუთეულში 3 სამქულიანი და ჯამში 15 ქულა ჩააგდო, თუმცა მარტო ის ვერას გახდებოდა, რომ არა ელაია ბიუქენენი, გიორგი რუხაძე, ვასილ ბერუაშვილი, აკაკი ლომოური და გრიფინის მოედანზე გასული ყველა დანარჩენი მოთამაშე.

რუსთავმა გააბათილა ის 13-ქულიანი ჩამორჩენა, რომელიც პირველ პერიოდში დაფიქსირდა. **გოგა ცეკვავას** გაწვრთნილმა ქვემოქართლელებმა მესამე პერიოდში დაწინაურებაც მოახერხეს და გადამწყვეტ ათწუთეულს 4-ქულიანი უპირატესობით შეხვდნენ. მასპინძლებს ბოლოს მეორე სუნთქვა გაეხსნათ და გუნდური თამაშით გამარჯვება გაინაღდეს. კასპელებს აკლდათ ერთ-ერთი ლიდერი – ზეგედე გრეჭემი, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და საქართველო დატოვა. დანაკლისი ჰქონდა რუსთავსაც, რომელსაც ასევე ამერიკელი უკანახაზელი გამოაკლდა.

გრიფინს ელაია ბიუქენენმა ულიდერა, რომელმაც 24 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი, 3 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. მატისმა 28 ქულა მოაგროვა, ხოლო გიორგი რუხაძემ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა – 19 ქულა, 8 მოხსნა. 11–11 ქულა დააგროვეს აკაკი ლომოურმა და მერაბ მირზიაშვილმა. რუსთავში 29 ქულით საუკეთესო იყო გუგა პატაშური. 20 ქულა კამდინ კარფმანმა მიითვალა, ხოლო კევინ ვოილსის ანგარიშზე 18 ქულა, 6 პასი და 6 მოხსნა დაგროვდა.

# მედლებიც, ევროპაც

**სასტუმრო „ბილთმორის“ კონგრეს ჰოლში დასრულდა საქართველოს ქალთა 82-ე და ვაჟთა 84-ე უმაღლესი ლიგის ჩემპიონატები. ქალთა შორის 7 ქულით ჩემპიონი ნანა ძაგნიძე გახდა, ვაჟთა შორის კი 6,5 ქულით ლევან ფანცულაია.**

ტურნირი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

მასში მონაწილეობდნენ ქვეყნის წამყვანი მოჭადრაკეები, რომლებიც საქართველოს ჩემპიონობისთვის და ევროპის ჩემპიონატის სამი საგზურისთვის იბრძოდნენ.

ჩემპიონატი 10 მონაწილეს შორის წრიული სისტემით 9 ტურად გაიმართა და მისმა საპრიზო ფონდმა 30 000 ლარი შეადგინა.

**საქართველოს ქალთა 82–ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა**

**I ადგილი** – ნანა ძაგნიძე – 7 ქულა;
**II ადგილი** – ბელა ხოტენაშვილი – 6,5 ქულა;
**III ადგილი** – მერი არაბიძე – 6 ქულა.

**საქართველოს ვაჟთა 84-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა**

**I ადგილი** – ლევან ფანცულაია – 6,5 ქულა;
**II ადგილი** – გიგა ყუფარაძე – 6 ქულა;
**III ადგილი** – თორნიკე სანიკიძე – 5,5 ქულა.

# ჯერჯეროობით – ზოგადად



UFC-ის ქვემსუბუქი წონის ქართველმა ჩემპიონმა **ილია თოფურიამ** მომავალ ორთაბრძოლასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა, მისი თქმით, მომავალ ჩხუბთან დაკავშირებით სიახლეები შემდეგ კვირაში გახდება ცნობილი.

**„ახლა ვერაფერს ვიტყვი, რადგან UFC-იმ ამ საკითხთან დაკავშირებით თავის შეკავება მთხოვა. ვფიქრობ, საინტერესო სიახლეები შემდეგ კვირაში გახდება ცნობილი.“**

როგორც ცნობილი ხდება, ქართველი „მატადორი“ დიდი ალბათობით მომდევნო ორთაბრძოლას ზედა წონაში გამართავს, მის სავარაუდო მეტოქეებად კი ისლამ მახაჩევი, დასტინ პორიე და ჩარლზ ოლივეირა სახელდებიან.

შეგახსენებთ, რომ ილია თოფურიამ 2024 წლის 18 თებერვალს ალექსანდრ ვოლკანოვსკი დაამარცხა და UFC-ს ჩემპიონი გახდა.

**ATP-ს რეიტინგის ლიდერი იანიკ სინერი სამთვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.**

იტალიელი ჩოგბურთელი დათანხმდა ანტიდოპინგურ სააგენტოსთან (WADA) თანამშრომლობას მას შემდეგ, რაც შარშან დოპინგტესტზე ორჯერ დადებითი პასუხი მიიღო.

სინერი 9 თებერვლიდან 4 მაისამდე ვერ ითამაშებს, სამაგიეროდ, ამ პერიოდში არ გამოტოვებს არცერთ გრანდ სლემს და კორტზე რომის ტურნირისთვის დაბრუნდება, ხოლო შემდეგ როლან გაროსზეც შეძლებს გამოსვლას.

შეგახსენებთ, რომ იანიკ სინერი 2024–2025 წლებში ზედიზედ გახდა ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული, ხოლო 2024 წელს ამერიკის ღია პირველობაც მოიგო.

# 3 თვე აკმარეს

## სულთათანა

# აკაკი ბერიძე



**გარდაიცვალა ქართული მედიცინის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ცნობილი დასტაქარი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის უნივერსიტეტის ემერეტუს-პროფესორი, აჭარის ჯანმრთელობის დაცვის ყოფილი მინისტრი (1995-2004 წ.წ.), რესპუბლიკის მთავარი ქირურგი, ქირურგიის მსოფლიო ასოციაციის წევრი, კლინიკა „მედინას“ ქირურგიული დეპარტამენტის ხელ-მძღვანელი, აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოების თავმჯდომარე**

## აკაკი ბერიძე.

აკაკი ბერიძე დაიბადა 1939 წლის 5 დეკემბერს შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურში. 1957 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის სკოლა ოქროს მედალზე და ჩაირიცხა თბილისის სახელ-მწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. იყო სტალინური სტიპენდიატი, 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და განაწილებით მუშაობა დაიწყო შუახევის რაიონულ საავადმყოფოში ქირურგიული განყოფილების გამგედ. შემდეგ ეკავა მთავარი ექიმის მოადგილის თანამდებობა. 1966 წლიდან კი იყო მთავარი ექიმი.

1966-1969 წლებში ა. ბერიძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტ-უტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის ასპირანტურაში. 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაციები.

ა. ბერიძე 1975 წელს საქართველოს ჯა-ნმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებით, აჭარის სოციალური ინტერესების გათვალისწი-ნებით, გადაყვანილი იქნა აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ. შემდეგ იგი აირჩიეს სამინისტროს კოლეგიის წევრად და მთავარ ქირურგად. 9 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს.

ა. ბერიძე იყო გამოჩენილი ქართველი მედიკ-ოსების მ. კომახიძის, გრ. მუხაძის, ა. ბეთანელის, ირ. მგალობლიშვილის და სხვა თვალსაჩინო დასტაქრების საქმის ერთგული გამგრძელებ-ელი. მან მნიშვნელოვნად განავითარა აჭარის ქირურგიული სკოლა. დანერგა ოპერაციების ახალი სახეები. ახალგაზრდები დაახელოვნა ქირურგიის სხვადასხვა დარგში. ჩაატარა 25 ათასამდე ოპერაცია და ასეულობით ადამიანი იხსნა სიკვდილისგან.

ა. ბერიძე დაჯილდოებული იყო ღირსების, ტბელ აბუსერიძისა და გრიგოლ მუხაძის სახელ-ობის ორდენებით. ფლობდა 3 ოქროს სკალპელს – მედიცინის მსოფლიო ასოციაციისგან, საქართ-ველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ბერიძეთა საგვარეულო დარბაზისაგან.

არჩეული იყო ქირურგიის მსოფლიო ასოციაციის წევრად. 2014 წელს ბიოგრაფიის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ დასახელდა წლის საუკეთესო პროფესიონალად.

2023 წლის 24 ივნისს აჭარაში პირველს გაუხსნეს ვარსკვლავი. იყო კლინიკა „მედინას“ მისივე სახელობის ქირურგიის დეპარტამენტის დირექტორი. იყო ქ. ბათუმისა და შუახევის რაიონის საპატიო მოქალაქე.

წოდებებთან და ჯილდოებთან ერთად ა. ბერ-იძეს ჰქონდა ყველაზე დიდი პატივი – აჭარელი ხალხის გულწრფელი სიყვარული. ძნელია მთელ აჭარაში მოიძებნოს ოჯახი, რომლისთვისაც მის მადლიან ხელს ამაგი არ დაედო.

ა. ბერიძეს გამოქვეყნებული აქვს 180-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის – 5 მონოგრაფია. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს მისი ბოლო ნაშრომი „ღვთაებრივი ხელოვნება,“, რომელიც აკადემიურ წიგნად გამოიცა 2023 წელს.

ა. ბერიძემ მომავალ ქირურგებს დაუტოვა ქირურგიული შემოქმედების ფორმულა და პრინციპები. „ქირურგი უნდა იყოს გონიერი და მეტად განსწავლული ადამიანი. ქირურგია ყველ-აზე შემოქმედებითი ხელოვნებაა და ვერ იტანს შablონს, შემოქმედება კი ცოდნისა და ფანტაზიის „შეუღლებაა“. იგი ასწორებს ადამიანში ბუნების მიერ დაშვებულ ან ცხოვრების მანძილზე შეძენილ მანკებს. ქირურგმა უნდა იმოქმედოს დევიზით – „ყოველ ადამიანს – თავისი ოპერაცია“. ქირურგს უნდა ჰქონდეს „მოქნილი ხელი“ და ნატიფად უნდა ეპყრობოდეს ავადმყოფის სხეულს, მის ყოველ უჯრედს. სხვა ადამიანის სხეულში ხელის „ფათურის“ უფლება არ უნდა ჰქონდეს რიგით მომაკვდავ ადამიანს“.

ა. ბერიძე – როგორც გამოჩენილი დასტაქარი და სიკვდილის მრავალგზის დამმარცხებელი, თავის პაციენტებსა და თანამედროვეთ უკვდავი ეგონათ. მაგრამ თავად აკაკიმ ყველაზე კარგად იცოდა, რომ იგი რიგით მიწიერ შვილად იყო დაბადებული და მის სისხლძარღვებში არ დიოდა „იქორი“. მას ულმობელი სიკვდილი საკუთარ ოჯახში ეწვია 2025 წლის 14 თებერვალს!

18 თებერვალს მისი სხეული მშობლიურ მიწაში ჩაესვენება, ქართველთა დიდების ფესვსაკმევლად, სული ზეცაში აბრძანდება და ქართველთა ზეცას კიდევ ერთი მანათობელი ვარსკვლავი შეემატება. ამ ქვეყანაზე კი დარჩება მისი წიგნისამებრ, „ღვთაებ-რივი ხელოვნების“ უბადლო დასტაქრის სახელი!

აკაკი ბერიძე იყო ქართველთა სულიერი ღირსებით აღსავსე ადამიანი-ნიმუში და ასეთივედ დარჩება შთამომავლობის ხსოვნაში.

**მიხეილ სარჯველაძე, ნინო ნიჟარაძე, ირაკლი მენაღარიშვილი, ასლან აბაშიძე, ნოდარ ჭითანავა, არჩილ ბერიძე, ზაალ მიძელაძე, ანზორ ბოლქვაძე, ფრიდონ ფუტკარაძე, ტიტე აროშიძე, ფატიმა ბორჩაშვილი, ჯუმბერ უნგიაძე, მერაბ ბერიძე, გიორგი (ოთარ) კვესიტაძე, ზურაბ პატარაძე, ამირან ბერიძე, ვანო და გურამ პაპუნიძეები, სოლომონ ფუტკარაძე, ლევან ბერიძე, რეზო ჯორბენაძე, თამაზ გოგიტიძე, ალეძსი (ვაჟა) ბერიძე, მარინა დევდარიანი, ოქროპირ ბერიძე, გრიგოლ (ენრიკო) ბერიძე, ციალა ბეჭანიძე, თამაზ ბერიძე, არჩილ ჩიქოვანი, ჯიმშერ (ჯიმი) ბერიძე, ომარ ტაკიძე, მურმან ბერიძე, ემზარ ბერიძე, რეზო ჯაბნიძე, ასლან კაკაბაძე, ნუგზარ ბირკაია, ეთერ ბერიძე, მარგარიტა ხვადაგიანი, ნოდარ ბერიძე, ნარგიზი აბაშიძე, ნინო ბერიძე, ვალერი მოძერია, ვახტანგ ბერიძე, ზურაბ სურმანიძე, მირიან ბერიძე, ნუგზარ ბეჭანიძე, ჯემალ ბერიძე, ცისანა ანთაძე, გელა ვადაჭკორია, მარინა მითაიშვილი, თემურ მჭავანაძე, გულო გაბაიძე, მიხეილ ბერიძე, ვაჟა ბერიძე.**

---

**ძმა ჯემალი, შვილები ნარგიზი, ლალი და ლევან ბერიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყე-ბიან, რომ გარდაიცვალა**

# აკაკი ბერიძე.

**გამოსვენება: 18 თებერვალს, 15 საათზე, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.**

## არდავიწყება

# კარლო ვეკუა

სამეგრელოს უხუცესთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი პიროვნების **კარლო ვეკუას** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვე-ნებულის ოჯახს და ნათეს-ავებს.

კარლო ვეკუა „უხუცე-სთა საბჭოს“ აქტიური წე-ვრი და გულშემატკივარი იყო, საპატიო ზუგდიდელი, საზოგადოება „ზუგდიდე-ლის“ თანადამფუძნებელი. თანაქალაქელებს სპორტსა და ჯანმრთელობაზე ზრუნ-ვით დაამახსოვრა თავი. საზოგადოებრივ ცხოვრე-ბაში აქტიური მონაწილე-ობისთვის მრავალი საპატიო სიგელის მფლობელია. ზუ-გდიდის „ცოცხალი მემატი-ანე“ იყო.

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ღირსეულ კაცს, ჭეშმარიტ მამულიშვილს...

**სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე**
**ფრიდონ ინჯია**
**სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები**
**ვალერი კვარაცხელია, ვასილ დავითაია, ლავრენტი (მამუკა) ნაჭყებია, გოგი ფაცაცია,**
**სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს დირექტორი**
**კოტე სამუშია**
**წევრები:**
**მამუკა ადამია, თორნიკე აფაძიძე, გოგილო ბასილაია, ლენგო ბერაია, დემურ გადელია, გურამ გუნავა, ბორის დავითაია, მელორ ზარძუა, ლავრენტი კემულარია, შახი ლატარია, ნუგზარ მალაშხია, ნაპოლეონ მესხია, ემილ მიქაია, მურმან ნაჭყებია, ნუგზარ სართანია, ლადო ძირია, ვახტანგ ყოლბაია, გიორგი ყუფუნია, ავთანდილ (ზურა) ჩხაიძე, გურამ ჭანტურია, ნოდარ ჭითანავა, ოთარ ჭითანავა**

---

**საზოგადოება „ზუგდიდელი“ დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამაგდარი, ღვაწლმოსილი, პროფკავშირული და სამეურნეო მუშაკი, ზუგდიდის ინტელიგენციის წარმომადგენელი, მისი ისტორიის ცოცხალი მემატიანე, საპატიო ზუგდიდელი, სამეგრელოს უხუცესთა საბჭოსა და საზოგადოება „ზუგდიდელის“ პრეზიდიუმის წევრი**

# კარლო ვეკუა

**და თანაუგრძნობს მწუხარებაში ქართული ტრადიც-იების ღირსეულად მატარებელ მის ოჯახს, ნათესაობას, მეგობრებს და ზუგდიდს.**

# უბედურ შემთხვევას მისი უფროსი შვილი შეესწრო

**მახინჯაურში მატა-რებლის დაჯახების შე-დეგად 40 წლამდე ქალი დაიღუპა. შემთხვევა გუშინ მოხდა. არსებული ინფო-რმაციით, ქალს მატა-რებელი იმ დროს დაეჯახა, როცა ლიანდაგებზე გადადიოდა.**

გარდაცვლილი ნანო ცხადაიაა. ის წარმოშობით სენაკიდან იყო და თბილისში ცხოვრობდა. გარდაცვლილს 3 შვილი დარჩა.

დიდი ტრაგედია დატრიალდა. ნანოს სამი შვილი დარჩა. ამ ტრაგედიას მისი უფროსი შვილი შეესწრო – ამბობენ გარდაცვლილის ახლობლები.

შემთხვევის ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშ-რომლები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა იყო მობილიზებული.

# ტრაგედია აჭარაში

**ბიძინა ივანიშვილი და ეკატერინე ხვედელიძე გათუმში დატრიალებული ტრაგედიის გამო მწუხარებას გამოთქვამენ და დაღუპულების ოჯახებს, ახლობლებს და სრულიად საზოგადოებას უსამძიმრებენ.**

**„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ბათუმში დატრიალებული ტრაგედიის გამო, რომელსაც ორი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ დროს განსაკუთრებით რთულია სიტყვების პოვნა ოჯახების სანუგეშოდ, ვინაიდან ენით აღუწერელია ტკივილი, რასაც ისინი განიცდიან. მთელი გულით ვუსამძიმრებთ და გულწრფელ თანადგომას ვუცხადებთ უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპული პატარების ოჯახებს, ახლობლებს, მთლიანად აჭარის რეგიონს და ამ დიდი ტრაგედიით შეძრულ ჩვენს საზოგადოებას“,** – ნათქვამია სამძიმრის წერილში.

ბათუმის ტრაგედიას გულწრფელად ეხმაურებიან და დაღუპულთა ოჯახებს თანაუგრძნობენ **საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი, თბილისის მერი პახა კალაძე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე** და სხვ.

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თავისი მრავალათასიანი მკითხველის სახელით გულითადად თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს და სრულიად საქართველოს!**



**გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეწარმე და ქველმოქმედი ადამიანი**

## გოგი თოფაძე

**იური, რუსუდან, გუგა და კოკი ოსიპოვი-ავჭანიძეები სამძიმარს უცხადებენ ოჯახს და მის მეგობრებს.**

# საყოველთაო ნათლობის მსურველთა რეგისტრაცია იწყება

**იწყება 71-ე ეტაპი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს მიერ ახალდაბადებული მესამე და შემდგომი ბავშვის მონათვლისა, – ამის შესახებ ინფორმაციას საპატრიარქო ავრცელებს.**

**მათივე ცნობით, ნათლობის მსურველთა რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს საპატრიარქოში ა.წ. 24 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით 12:00 საათიდან 16:00 საათამდე.**

**რეგისტრაციის მსურველებმა თან უნდა იქონიონ:**

**მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;**

**მშობლების ჯვრისწერისა და ქორწინების მოწმობების ასლები;**

**შვილების დაბადებისა და ნათლობის მოწმობების ასლები.**

# ანა კალანდაძის საიუბილეო საღამო მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

**საიუბილეო ღონისძიებას საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე გიორგი მირცხულავა დაესწრო.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა, აკადემიკოსებმა, პოეტებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა ქართული პოეზიის გამორჩეული წარმომადგენლის, პოეტი-აკადემიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი ეპიზოდები გაიხსენეს. აღინიშნა ანა კალანდაძის უდიდესი წვლილი მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

საღამოზე ნაჩვენები იყო ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის ფრაგმენტები. პოეტის ლექსები წაიკითხეს მე-20 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

საიუბილეო საღამოს ორგანიზატორებს სამადლობელი სიტყვით ანა კალანდაძის ოჯახის სახელით ქალბატონმა თინა ყანდარელმა მიმართა.

აღსანიშნავია, რომ დამსწრე საზოგადოება იქვე გაეცნო საქართველოს კულტურის სამინისტროს ეგიდით გამოცემულ ორწიგნეულს, რომელშიც შედის წიგნი-ალბომი პოეტის ასი ლექსითა და ბადრი ვადაჭკორიას 200 ფოტოთი, აგრეთვე, ანა კალანდაძის ხელნაწერი რვეული, საიდანაც მან საზოგადოებას 1946 წელს პირველი ლექსები გააცნო. გამოცემის იდეისა და პროექტის ავტორია ლიტერატორი და პუბლიცისტი იოსებ ჭუმბურიძე.

**ამ მოვლენის შესახებ ვრცლად მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.**

# გიორგი გიგაშვილი სტეინვეის არტისტია!

**პიანისტმა გიორგი გიგაშვილმა ყველაზე დიდი ოცნება აისრულა – ამიერიდან ის სტეინვეის არტისტია. სტეინვეის არტისტები მსოფლიოში ცნობილი პიანისტები არიან. მათ რიგებს ქართველი პიანისტი გიორგი გიგაშვილიც შეუერთდა.**

**გილოცავთ, ჩვენო ვირტუოზო!..**

# საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი თბილისის საარქივო ფილმების IV საერთაშორისო ფესტივალს 2025 წლის 21-24 ოქტომბერს უმასპინძლებს. ფესტივალის წლევანდელი თემა „საავტორო კინო“ იქნება. ინფორმაციას ეროვნული არქივი ავრცელებს.**

ფესტივალის სტუმრები ეროვნული არქივის კინოდარბაზში საქართველოსა და უცხო ქვეყნების საარქივო, სამუზეუმო თუ სხვა დაწესებულებებში დაცულ კინომემკვიდრეობას ნახავენ.

2025 წლის კინოფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართება პანელური დისკუსია თემაზე: კინომემკვიდრეობის დიგიტალიზაცია და რესტავრაცია, ხელმისაწვდომობა და გავრცელება. დისკუსიაში ჩართვა ფესტივალის მონაწილე ქვეყნების კინოინსტიტუციების წარმომადგენლებს შეეძლებათ.

თბილისის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი და წარსადგენ ფილმთან დაკავშირებული მასალა უნდა გამოაგზავნონ 2025 წლის 1 სექტემბრამდე ელექტრონული ფოსტის მისამართზე: **TIAFF@archives.gov.ge.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ფ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედიასაშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

**ჯოდორ ჯგუფი**

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
**GE90BG0000000538329790**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 19 თებერვალს**